საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

სამშაბათი, 22 ივნისი 1920 წ.

ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **125 მანეთი.** ცალკე ნომერი ყველგან **5 მანეთი** განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **10 მანეთი,** მეოთხე გვერდზე **6 მანეთი.** სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის **(15—2) 200 მანეთი.** ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: **ერთობის ქ. № 4.** შესახვევი რუსთაველის ქუჩის **№ 18-თან. ტელეფონი 16—62.**

№ 138 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 138

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის № 4, მესამე სართული. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11-79

ღრმად დამწუხრებულნი მარიამ დიმიტრის ასული და თედორე საყვარელის ძე ცხომელიძე შვილებით, ემელია დიმიტრის ასული და ალექსანდრე ექვთიმეს ძე დოლიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს გარდაცვალებას ძვირფასი სიძის და ქვისლის

დათა კონსტანტინეს ძის გოგიბერიძის

დასაფლავება სამშაბათს, 22 ივნისს დაბა ხიდისთავში, სოფელ ქვენობანში. (1988 1—1)

გაუბედურებული დედა ებე ჩხიკვიშვილის ასული, შვილები: ჟულიეტა, გრიშა, ნინა და კიკოლია, და ნინა მგალობლიშვილისა, ძმები ლადიკო, სიმონ და რძლები ბაბი, პელაგია და ტასო თავისი შვილებით, ბიძაშვილები ოლია ელიაძისა და ნატაშა ჯაშისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს დაუვიწყარი შვილის, ძვირფასი მამის, საყვარელი ძმის და ბიძაშვილის

დათა კონსტანტინეს ძის გოგიბერიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება სამშაბათს, 22 ივნისს დაბა ხიდისთავში, სოფელ ქვენობანში. (1988 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი და გულდამწვარნი სიმამრი დიმიტრი და სიდედრი ნინო შვილებით: ვასო, სანდრო, ანეტა ვანიძნები, ბიცოლა ლიუდი ვანიძისა შვილებით: ლეონინა და მიხაკო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს უდროოთ გარდაცვალებას ძვირფასი სიძის

დათა გოგიბერიძის

დასაფლავება სამშაბათს, 22 ივნისს დაბა ხიდისთავში, სოფელ ქვენობანში. (1988 1—1)

ალექსანდრე იოსების ძე ანდრონიკაშვილი მეუღლით ლუიზა ადოლფის ასულით და პატარა ლილიათი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს გარდაცვალებას ძვირფასი, საყვარელი და დაუვიწყარი დედის

ნინო ალექსანდრეს ასული ანდრონიკაშვილისა-ისარლოვის

რომელიც მოხდა მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 20 ივნისს, დილის 9 საათზე, პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, მიცვალებულის ბინაში, 25 მაისის ქ. № 9, (ოლღას) მიცვალებულის გამოსვენება მოხდება 23 ამ თვეს, დილის 9 საათზე ქართველ-კათოლიკეთა მიძინების ეკლესიიდან (კათოლიკების ქუჩა) დასაფლავება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1997 1—1)

გულდათუთქული მშობლები ექიმი ნიკოლოზ გიორგის ძე **გეგეჭკორი** და მეუღლე მისი **კატუშა** პატარა თინიკოთი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს თავიანთი ნუგეშის პაწაწა ვაჟის

გივის

ჯერ გაუშლელი სიცოცხლის უდროვოდ მოსწრაფვას. პანიშვიდი დღეს, საღამოს 7 საათზე. გამოსვენება ოთხშაბათს, 23 ივნისს, დღის 2 საათზე საკუთარ ბინიდან, ანასტასიას ქუჩა, № 7, დაკრძალვა ვერის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში. (2000 1 - 1)

თავზარდაცემული: ევდოკე და შარვან ცხადაიები აუწყებენ ნათესავებს და მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ნუგეში და იმედი პაწაწა შვილის შვილი

გივი

პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 საათზე, დაკრძალვა 23 ივნისს, ოთხშაბათს, დღის 2 საათზე თფილისში.

გულმოკლული ნიკო კოკაია აუწყებს მეგობრებს და ნათესავებს საყვარელი პაწაწა ძიას.

გივის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 საათზე, დაკრძალვა ხვალ 25-ს. (2000—1—1)

გულდამწვარნი: დედამთილი მარიამი მიხეილის ასული, ძალო ბარბარე მაქსიმეს ასული, მული, ნადია მიხეილის ასული, მაზლი ზაქარია მიხეილის ძე, შვილი ბიძინა ალექსანდრეს ძე, სიძე ივანე ანტონის ძე ზოდელავა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროვოთ გარდაიცვალა კერძო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მსმენელი

ლიუდა მოსეს ასული კვინიკაძე გოგატიშვილისა

გამოსვენება 22 ივნისს დილის 10 ს. გუნიბის ქუჩა, ბოგოსლოვის საყდარი, დაკრძალვა იქვე. (2001—1—1)

მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

1) პარკის და აბრეშუმის შესყიდვის უფლება აქვთ იმ საერობო ორგანიზაციებს, კოოპერატივებს და კერძო პირთ, რომელთაც ეს დავალებული ექნებათ სამინისტროდან. 2) როგორც აღნიშნული ორგანიზაციები ისე კერძო შემსყიდველები ვალდებულნი არიან შეთანხმებულათ იმოქმედონ პარკის ოპერაციის საქმეებით. 3) მეაბრეშუმეს ფუთ პარკში პირველ ხარისხისაში ნედლში მიეცემა 3000 მ. მეორე ხარისხის პარკში—2800 მ. 4) პარკის მიმღებთ ევალებათ იქონიონ მთავარ რწმუნებულის პირადი კვიტანცია მიღებულ პარკის და ფულის რაოდენობის აღნიშვნით. 5) მეაბრეშუმენი ვალდებულნი არიან შეინახონ კვიტანციები, თორემ მთავრობის მიერ დადგენილ მოგების ნაწილს ვერ მიიღებენ. 6) იმ ორგანიზაციებს და კერძო პირთ, რომელთაც სამინისტროსაგან არ აქვთ დავალებული პარკის შესყიდვა, სასტიკათ ეკრძალებათ ბაზარზე მყიდველებათ გამოსვლა და პარკის ყიდვა, ვინაიდან პარკზე მონოპოლია არის გამოცხადებული. 7) ამ დადგენილების მე-6 მუხლის დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული სისხლის სამართლის წესით, ხოლო შესყიდული პარკი კი ჩამოერთმევათ უფასოთ. მიწათმოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.** მომარაგების მინისტრი **გ. ერაძე.** მთავარი რწმუნებული **ს. ქუთათელაძე.** (ნ. 15—5)

ორთაჭალის რაიონული შტაბი სახ. გვარდიისა

აცხადებს, რომ მას შტაბის კანცელარიაში სჭირია გამოცდილი

საქმის მწარმოებელი ქართულ ენაზე

მსურველს შეუძლია გაეცნოს პირობებს ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე. ვარანცოვის ქუჩა, ორთაჭალის რაიონული შტაბი. (1993—1—1)

განცხადება

მიწათმოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილებას ესაჭიროება 3 გადასახლების საქმის სარაიონო გამგის თანაშემწე ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრებში და ყარაიაზში პირობების გაგება შეიძლება განყოფილებაში. (ნ. 1—1)

მეორე ქართული კლუბი

(პლეხანოვის პროსპექტი, № 129)

სამშაბათს, 22 ივნისს

დეგი თარხნიშვილების მონაწილეობით გაიმართება

დიდი კონცერტი

2 განყოფილებად

შესრულებულ იქნება ქართლ-კახური სიმღერები. კონცერტზე დასწრება უფასოა. დასაწყისი საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზე. კლუბში შესვლა საზოგადო წესით. ოთხშაბათს—სინემატოგრაფი. ხუთშაბათს—წარმოდგენა. (ნ 1—1)

განცხადება
სახალხო გვარდიის საარტილერიო ბრიგადა

ამით აცხადებს რომ საჭირო მომავალი წლისთვის შეიძინოს **თივა, სიმინდი** და **ქერი,** მოიჯარადრეებს შეუძლიან პირობების გაგება საბურთალოზე არტილერიის ყაზარმებში 25 ივნისს 12 საათ. დრ. ბრიგადის უფროსი ჟღენტი. (2002—2—1)

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მ. მინისტრის ნებართვით დაიწყო თავისი მოქმედება
ბანკის კონტორა
კავკაზ და გერმესმა

ტელ. 1—77 ტელ. 1—77

თფილისი, თავისუფლების მოედანი. (ერევნის მოედანი) ტელეგრაფის ადრესი—„კავგერბანკი“

აწარმოებს შემდეგ საბანკო ოპერაციებს.

მიღებას (ფულისა მიმდინარე ანგარიშზედ და ძვირფასი ნივთების მიბარებას. თამასუქების განაღდებას—და სესხის მიცემას, გადაგზავნას, შენახვას.

სხვადასხვა საკომისიო და ბირჟის დავალებებს.

კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. (1944—3—3)

გამოვიდა ნოე ჟორდანიას
თხზულებათა პირველი ტომი

თფილისის ხელის მომწერლებმა უნდა მიიღონ წიგნი გამომცემლობის კანტორაში (რუსთაველის პრ. № 26) ვისაც შემოტანილი აქვს ბე ყველა თხუთმეტი ტომის 450 მან. თითო ეკზემპლიარზე, იმათ უნდა წარმოადგინონ ნაღდათ 70 მან. სხვა ხელის მომწერთა მიერ შემოტანილი ბე დარჩება გამოცემის დასრულებამდის და ამ ჟამად ნაღდათ უნდა შემოიტანონ წიგნის **მთელი ღირებულება 100 მან. პროვინციის ხელის მომწერლებს** ამავე წესით გაეგზავნებათ წიგნი ფას დადებით ფოსტით.

ქუთაისში კი ხელის მომწერლები მიიღებენ წიგნს გამომცემლობის სააგენტოში ისიდორე კვიცარიძესთან.

ხელის მოწერა გაგრძელდება 15 ივლისამდის. (1991—1—1)

სადურგლო და სახარაზო სახელოსნო
ქალაქთა კავშირისა

იღებს დამზადებას ყოველგვარ ხის საგნებისა, სახელდობრ: სასკოლო, საკანცელარიო, საოჯახო მხატვრულ ავეჯეულობისა, ზღუეს (паркеть) და კარ-ფანჯრის მოწყობილობისა. სახელოსნო იღებს აგრეთვე სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულების მოწყობას. ცნობების მიღება და შეკვეთა შეიძლება ქალაქთა კავშირის სატეხნიკო და წარმოებათა განყოფილებაში პუშკინის ქუჩაზე, № 3. ტელ. № 8—10. (ნ. 4—2)

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“

ხუთშაბათს 24 ივნისს **ხუთშაბათს 24 ივნისს**

ობოლი მუშის
საღამო

I.
ივ. გომართელი
ობოლი მუშის პოეზია.

II.
უბედური დღე
ვოდ. 1 მოქ. ბალანჩივაძისა.

III. პოეზია

დუტუ მეგრელი, ვარლამ რუხაძე, ი. გრიშაშვილი, გალაქტიონ ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, ს. ერთაწმინდელი, ხარიტონ ვარდოშვილი და ობოლი მუშა.

თაგუნა

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში საღამოს 5 საათიდან. (ნ. 2—2)

ოტია კალოიანი
(არაგვიშვილი)

პოემა
„ავტონომია“.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა. (1999—2—1)

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

საზაფხულოთ წავიდა წაღვერში, ბორჯომის ახლო, აგარაკი მიხაილოვისა. მიღება ავათმყოფებისა: დილით 8—12 საათამდე კვირაობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. (1989—10—1)

საბჭოთა რუსეთის მისიის ჩამოსვლა

ამ დღეებში საქართველოში ჩამოვიდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ბ. კიროვი. ერთი სახელმწიფოს მიერ წარმომადგენლის გაგზავნას მეორე სახელმწიფოში დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამ გზით უნდა განმტკიცდეს ის ურთიერთობა, რომელზედაც ორი სახელმწიფო შეთანხმებულია. მისიის საშუალებით საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის შორის უნდა ჩამოვარდეს ის ნორმალური მეზობლობა, რომელზედაც დაყრდნობილია ამ ორ სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულობა. მხოლოდ ამ მიზნით უნდა განსაზღვროს თავისი ჩამოსვლა ყოველმა მისიამ, თუ მას არ უნდა გადასცდეს ლოიალობის ფარგალს.

დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლების ჩამოსვლა პატარა სახელმწიფოში თავიდანვე თითქმის ყოველთვის სცილდება ამ ფარგლებს. პირველი მათი ნაბიჯები ჩვეულებრივ მიმართულია იქითკენ, რომ პატარა სახელმწიფო გადააქციონ დამორჩილებულ და დამოკიდებულ მხარეთ და ფაქტიურად მოსპონ ის თანასწორობის პრინციპი, რომელზედაც უნდა იყოს დამყარებული ყოველივე შეთანხმება. საქართველოს რამდენჯერმე ჰქონია საქმე ამნაირ შემთხვევასთან. რამდენჯერმე მომხდარა, რომ დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლების პირველი ნაბიჯები მიმართული ყოფილა იქით, რომ საქართველო რაღაც კოლონიის მსგავს ქვეყნის მდგომარეობაში ჩაეყენებინათ, მაგრამ ჩვენი სახელმწიფო მუდამ ძალიან მგრძნობიარეობას იჩენდა ამნაირ დამცირებისადმი, დიდი სახელმწიფოების ცდას ერთბაშად ბოლოს უღებდა და მათ წარმომადგენლებს მტკიცედ აგრძნობინებდა, რომ ისინი ჩამოსულნი არიან თანასწორ სახელმწიფოში. ერთი ორი შეხლა-შემოხლის შემდეგ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები თავის ადგილს პოულობდენ.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. კიროვის ჩამოსვლას ატყვია ჩვეულებრივი ნიშნები დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლების ჩამოსვლისა პატარა სახელმწიფოებში. ამ მხრივ რუსეთის მისიას კიდევ უფრო გადამეტებული ლტოლვილება ემჩნევა. თვალში გვეცემათ უკვე ის მრავალრიცხოვანობა, რომელიც საბჭოთა რუსეთის მისიამ გაასწრო ყველა სხვა სახელმწიფოებს. მაგრამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სულიერ განწყობილებას, რომლითაც ხვდებიან რუსეთის მისიის ჩამოსვლას თფილისში მცხოვრები უცხო სახელმწიფოთა მოქალაქენი. მოგეხსენებათ, რომ ამნაირ უცხო მოქალაქეთა რიცხვი თფილისში ძლიერ დიდია. ძველ ჩინოვნიკების გარდა თფილისს თავი შეაფარა რუსეთის სამოქალაქო ომიდან გამოქცეულმა ხალხმა; დღეს მათ ანარქიის ქარტეხილისაგან გადარჩენილ თფილისში. საბოლოოთ მოკალათება ურჩევნიათ რუსეთში დაბრუნებას. თფილისშივე თავი მოიყარეს ამიერ-კავკასიის სპეკულიაციის წარმომადგენლებმა. თფილისის მყუდროება მათ მადა გახსნილობას უფრო შესაფერ სარბიელს აძლევს, ვიდრე დანგრეული და აოხრებული ქალაქები. ყველა ეს ელემენტები თავისებურ მიზნებს ამყარებენ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელთა ჩამოსვლაზე. და ამ გარემოებამ არ შეიძლება ერთნაირათ ბეჭედი არ დაასვას თფილისის მცხოვრებთა ამ ნაწილების სულიერ განწყობილებას. ამის ნიშნები ბ. კიროვის მოსვლის პირველ წამებშივე სრულიად თვალსაჩინო გახდა. მის ბინასთან და მახლობლად უკვე მრავლად იკრიბებიან ჯგუფები, რომლებიც ცხადათ ხატავენ თავის გულის ნადებს, რომლებიც ვეღარ მალავენ იმას, რომ ბ. კიროვის ჩამოსვლამ მათი წარმოდგენით, საქართველოს თავს უნდა მოახვიოს საბჭოთა რუსეთის ჰეგემონია.

ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის მოვალეობაა თფილისში მცხოვრებ უცხო ელემენტების ამ ოცნებას პირველ დღიდანვე ბოლო მოუღოს. ბ. კიროვის ჩამოსვლა არ უნდა გადაიქცეს წესიერების დარღვევის საბაბათ. ჩვენი დედაქალაქის ჩვეულებრივი წესები სრულებითაც არ უნდა შეიცვალოს მეზობელ სახელმწიფოს წარმომადგენლის ჩამოსვლით. მისია უნდა იყოს მისია და სხვა არაფერი დანიშნულება მას არ უნდა ჰქონდეს. მთელმა ხალხმა უნდა იგრძნოს, რომ რუსეთის წარმომადგენლების მოქმედება თფილისში ჩაყენებული იქნება მხოლოდ და მარტო მისიის ფარგლებში. თვით საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებმაც თავის მოქმედებით უნდა ამცნონ ხალხს, რომ ისინი მოსულან საქართველოში, როგორც საბჭოთა რუსეთის თანასწორ სახელმწიფოში და მათ მოსვლას მიზნათ აქვს მხოლოდ და მარტო მეზობლური ურთიერთობის ჩამოგდება საქართველოსა და რუსეთს შორის.

საჭირო შენიშვნა

გაზეთმა „საქართველოს კომუნისტმა“ მოწმეთ დამასახელა. „ჰკითხეთ თქვენს დელეგატს გრ. ურატაძეს,—სწერს ის „ერთობის“ საპასუხოთ—„მოღვაწეობენ“ თუ არა ლეგალურათ მენშევიკები რუსეთშიო“.

აი მე უნდა განვაცხადო: მენშევიკების არც ერთ ჯგუფს რუსეთში არამც თუ აქვთ თავის გაზეთი, დიდი ხანია არ ქონიათ. მენშევიკების წიგნის მაღაზია დღესაც დაკეტილია. არამც თუ მენშევიკებს, არც ერთ სხვა ჯგუფს არ აქვს თავის ორგანო. მოსკოვში გამოდის მხოლოდ „პრავდა“, „იზვესტია“ და „ბედნოტა“. სხვა ქალაქებშიაც ასეა. როცა სხვა ჯგუფებმა რაიმე უნდა აცნობონ საზოგადოებას, ისინი აფიშის სახით კედლებზე აკრავენ თავიანთ განცხადებას, რადგან „პრავდა“ ასეთ ცნობებს ქრონიკაშიაც კი არ ათავსებს.

ორ თვეზე მეტია რაც მენშევიკების ცენტრალურმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა გაზეთის გამოცემის შესახებ და თან სათანადო კომისარიატს გაზეთის პოზიციაც აცნობა, მაგრამ ჯერ კიდევ ნებართვა არ მიუღია. მენშევიკებს არ შეუძლიათ მოიწვიონ კრებები თავის ნებით, ისინი მხოლოდ მონაწილეობას იღებენ იმ კრებებში, რომელსაც კომუნისტები მოიწვევენ. ესერები ხომ საბჭოებიდან გამორიცხეს.

საერთოდ, აქაურ „კომუნისტებს“ არ აქვთ სრული წარმოდგენა პარტიათა შორის დამოკიდებულებაზე რუსეთში. იქ კომუნისტები არ მალავენ და აშკარათ აცხადებენ, რომ დღეს ისინი ვერავის ვერ მისცემენ ნებას იქონიოს გაზეთი და თავისუფლათ ილაპარაკოს თუ გინდ საბჭოთა მთავრობის დეკრეტების ფარგლებში.

გრ. ურატაძე.

პრესა

პარტიული ოპოზიციის ერთი წარმომადგენელი ყრილობაზე ამტკიცებდა, რომ ჩვენი პარტია გადაიქცა მონასტრათ, საიდანაც განდევნილია კრიტიკული აზროვნება. „ერთობამ“ თავის მოწინავე წერილში შენიშნა, რომ ეს არ შეეფერება სინამდვილეს. „ახალ სხივს“ უკვირს:

> „ფრაქცია მოითხოვს კრიტიკის თავისუფლებას.
>
> მთავრობა არ უარყოფს ამ პრინციპს, სწერს „ერთობა“.
>
> რატომ ასეთი კილოთი ლაპარაკობს? როგორ შეუძლია მთავრობას კრიტიკის თავისუფლების პრინციპი უარყოს. ვისთვისაა საჭირო ასეთი ანბანური დებულების გადაღეჭვა?
>
> „ერთობა“ უფრო კარგათ მოიქცეოდა ანგარიში გაეწია **საკანტროლო კომისიის** მოხსენების ერთი ადგილისათვის, მით უმეტეს, რომ საკანტროლო კომისიაც ხომ ოპოზიცია არ არის, რომ ერთ ჰქვა წყალში ქარიშხალი ასტეხოს“. საკანტროლო კომისიამ ხაზგასმით მოახსენა ყრილობას, რომ „ერთობა“ და „ბორბა“ არასოდეს არ ეწეოდენ მთავრობის მოქმედების საღ კრიტიკას, თუმცა წარმოუდგენელია იმის დაშვება, ვითომ მთავრობას არასოდეს არ მოსვლოდეს რაიმე შეცდომაო“.

თუ პარტიაში კრიტიკის თავისუფლება უარყოფილი არ არის, როგორც ამას ამტკიცებდნენ ყრილობაზე, და თუ კრიტიკა არ წარმოებს, ეს ალბათ თითონ ოპოზიციის ბრალია. ცდილან თუ არა როდისმე მისი წარმომადგენლები „ერთობაში“ ან „ბორბაში“ მოეთავსებიათ კრიტიკული წერილები?

ოპოზიციას სურს, რომ თითონ ეს გაზეთები ასრულებდენ ოპოზიციის როლს. ახირებული სურვილია, სხვა რომ არა იყოს რა.

სადღეისო წერილები
IV
ახალი ინტერნაციონალი.

დაგვიანებით წავიკითხე ბ. თეკლათელის წერილი მეორე ინტერნაციონალის კრიზისის შესახებ. პატარა წერილში მართლაც დიდი, ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია წამოყენებული, მხოლოდ წერილის ავტორს ლოღიკური დასკვნა არ გაუკეთებია, თავისი აზრი არ გამოუთქვამს, თუ სად, რომელ ინტერნაციონალში შევიდეს საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტია.

თანამედროვე ინტერნაციონალის კრიზისი მსოფლიო ომმა გამოიწვია.

ინტერნაციონალმა ვერავითარი როლი ვერ ითამაშა.

ეს იყო ტრაღედია მსოფლიო დემოკრატიისა და გამარჯვება იმპერიალისტურ მოძრაობის ისტორიულ მსვლელობაში.

ეს მოხდა იმიტომ, რომ ბურჟუაზიული ქვეყანა გაცილებით ძლიერი იყო და მისი საწინააღმდეგო ძალები, გაცილებით სუსტნი.

დღეს მსოფლიო ომი არაა, მაგრამ გაცილებით უფრო საშინელია მის მიერ დატოვებული პირობები, ვიდრე ომი.

დამოუკიდებელი სოციალისტები კი აწარმოებენ დამოუკიდებელ პოლიტიკას, საკუთარ პოზიციით; ისინი აღიარებულნი არიან ორტოდოქსებათ.

ამ ორ მოძრაობათა გარეშეა კაუცკი.

თანამედროვე გერმანიისთვის, რომელიც დაჭრილია ნაციონალურათ, სოციალურათ, ეკონომიურათ ომის მიერ, ძნელი სათქმელია რაა უკეთესი; მხოლოდ ერთი შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის სოციალიზმისათვის აგებული უნდა იქნას სახელმწიფო დემოკრატიული და, ეს პრინციპი, რასაც მოითხოვს ასრულებული. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მსხვერპლი გახდება უდროვო მოძრაობისა.

ასეთი უნდა იყოს გერმანელ მუშა სოციალისტის აზრი, საქმე...

საფრანგეთის სოციალისტები, ამ ჟამად უკეთეს პირობებში არიან. ისინი, როგორც არ უნდა დაიმალოს, მაინც გრძნობენ, რომ სედანის ტრაღედიას (1870—71 წ.) მოჰყვა 1918 წელს ფლორადიაში გერმანიის სამხედრო დამარ-

დღეს

ბალშევიკების ცნობით საბჭოთა ჯარმა პოლონეთის ფრონტზე დაიკავა რეჩიცა და ვინნიცა.

ოსმალეთის დელეგაციამ კიდევ ითხოვა 15 დღის ვადა საზავო ხელშეკრულებაზე პასუხის გასაცემად.

გენერალური შტაბის ცნობა.

20 ივნისი.

როყის მიმართულებით 19 ივნისს მტერს დევნის დროს წავართვით 2 ტყვიისმფრქვეველი.

სხვა მიმართულებებზე სიწყნარეა.

21 ივნისი.

როყის მიმართულებით 20 ივნისს ჩვენმა ჯარებმა სოფ. როყი დაიკავეს. მტერს წავართვით 2 ტყვიისმფრქვეველი. ძედის მიმართულებით ონის მხრივ ჩვენმა ჯარებმა სოფ. ჩასავალი დაიკავეს და უღელტეხილისაკენ წინ მიიწევენ.

სხვა მიმართულებებზე სიწყნარეა.

ცხება და ამ მომენტს აქვს მაინც უდიდესი მნიშვნელობა საფრანგეთის ხალხის ფსიხოლოგიაში. ეგ მომენტია ნაციონალური. დამარცხებულ ხალხთა მდგომარეობა უფრო სხვაგვარია.

საჭიროა ობიექტიურ მოვლენათა სწორი ანალიზი და მასთან შეთანხმებული მოძრაობა.

ეს ასე ესმოდათ და ესმით შეგნებულ მუშა-სოციალისტებს.

მოსკოვის „ბალშევიკურ“ ინტერნაციონალს კი არავითარი გამოხმაურება არ გამოუწვევია, ის დაიწყო და დასრულდა, რადგანაც მას არ შეეძლო ეთამაშა მსოფლიო მოძრაობაში რაიმე როლი, რადგანაც რუსეთის „კომუნისტური ინტერნაციონალი“ უარის ყოფა იყო მეცნიერულ სოციალიზმისა...

ამიტომ მოსკოვს არ შეეძლო ინციატივა აეღო.

რუსეთის ს. დ—ია?

რუსეთის სოც.-დემოკრატია არ შევიდა მესამეში, მხოლოდ გამოვიდა მეორედან.

რუსეთის სოც.-დემოკრატიის ისტორია და მოძრაობა უცნაურია, ის დრო-გამოშვებით აწარმოებდა სწორ ტაქტიკას, მუდმივათ კი რყევაში იყო.

ამ ჟამად რუსეთის მიმდინარე ამბებში მან ვერ ითამაშა შესაფერი როლი, რუსეთის ს.-დ-ია ვერ გახდა მოსკოვ-პეტროგრადის მუშათა მოძრაობის მეთაური, მისი ფაქტორი...

იგი დაშორდა მასას, გამოვიდა მასის მოძრაობიდან და ეხლა ინტერნაციონალიდანაც.

მისი თანამედროვე ხვედრი ცუდია, მხოლოდ მომავალი აქვს. სამაგიეროთ მისი ტაქტიკა ამ ჟამათ გაურკვეველია, ისე, როგორც თეკლათელის,—არ იცის, სად წავიდეს... საქართველოს მუშა-სოციალისტები, რომელნიც დაეწაფენ დემოკრატიზმით სოციალიზმის შემეცნების მიღებას, კითხვას უყურებენ ობიექტიური მოძრაობის მიხედვით და ღებულობენ მას, რაც ხელს უწყობს მუშათა მოძრაობის შემდეგ განვითარებას.

ინტერნაციონალი გაერთიანებული, სოციალისტური და არა ანარქო-კომუნისტური—ასეთი იყო ჩვენი მისწრაფება და არის.

ჩვენ გვაინტერესებს არა სახელი, ფორმა, არამედ—შინაარსი და მივდიართ იმ ინტერნაციონალურ ოჯახში, რომელიც შესძლებს თანამედროვე მოძრაობის გამტკიცებას, თავის მოყრას და მსოფლიო კრიზისის განელებას...

მეორე ინტერნაციონალში მანამდის, სანამ ის ეძებს გზას გამოსავალს, და ამ ძიების პრინციპს ჩვენ ვეთანხმებით მხოლოდ მაშინ, თუ სოციალისტური მოძრაობა ახალ მოვლენებს აღმოაჩენს, ჩვენ განზე არ დავრჩებით.

თანამედროვე პირობებში გაყინვა და გარეთ ყოფნა კი რეალისტურ მოძრაობის საქმე არაა; ჩვენ უნდა ვიყოთ იქ, საიდანაც უეჭველად დაიწყება ახალი ხანა საერთაშორისო პროლეტარიატის ოჯახში... **ანანია.**

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან).

მოსკოვი.

განწყობილება მუშათა წრეებში. ერთ-ერთ სტამბაში მომუშავეთა კრებაზე მენშევიკ კეფალმა გააცნო დამსწრეთ, რომ სახელმწიფო სტამბაში მუშებმა გაფიცვა გამოაცხადესო. როდესაც მას შეეკითხენ, რა იყო გაფიცვის მიზეზიო,—მან დაასახელა უკმაყოფილება, რაც თითქოს „ოტპუსკების“ დეკრეტს გამოუწვევია მუშებში. ამას გარდა, გაზეთის სიტყვით, კეფალი აწარმოებდა საზიზღარ აგიტაციას საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. კრებაზე წარმოდგენილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მხარს ვუჭერთ სახელმწიფო სტამბის მუშების გაფიცვას „მეფის რეჟიმის წინააღმდეგ“, რომელსაც 77 კაცმა მისცა ხმა. გაზეთი განაგრძობს, რომ მენშევიკები ეწევიან საზიზღარ აგიტაციას სპეკულიაციის საწინააღმდეგო დეკრეტის წინააღმდეგაც. გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე შემდეგ ფაქტს: ერთ-ერთ კრებას უნდა აერჩია წარმომადგენელი უპარტიოთა კონფერენციაზე; კომუნისტებმა თავის კანდიდატათ საჭიროთ სცნეს წამოეყენებიათ უპარტიო, მაგრამ უკანასკნელმა გაზეთის გადმოცემით, უარი განაცხადა კანდიდატობაზე, ვინაიდან უპარტიოებს საბჭოთა მთავრობა არ აძლევს უფლებას გამოსთქვან თავიანთი აზრიო. („პრავდა“, 28 მაისი).

ქურდობა წისქვილებში. არ იქნა ბოლო არ მოეღო წისქვილებში ქურდობას. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ძლიერ დაეცა შრომის ნაყოფიერება. მიიღო რა ყოველივე ეს მხედველობაში „მოსკოვის გორკომხოზმა“ დაადგინა მიმართოს მოსკოვის საბჭოს თხოვნით, რათა უკანასკნელმა მოახდინოს წისქვილების მილიტარიზაცია და აგრეთვე მოსკოვის განიზონის სპეციალისტი მუშები ჯარიდან დაუბრუნონ წისქვილებს („იზვესტია“ № 84).

ეკატერინოდარი.

მიაქციეთ ყურადღება! „ეხლა მთელი ქალაქის ყველა მოქალაქეებს იწვევენ ყოველნაირ გადამდებ ავათმყოფობებთან. ამავე დროს კი ვლადიკავკავის რკინის გზის გადამდებ-ავათყოფობების ბარაკში არის პატარა ეკლესია, რომელშიც გააქვთ ბარაკიდან გარდაცვლილნი; შემდეგ მათ ასაფლავებენ, თუ გარდაცვლილთ ჰყავთ ნათესავები, ისინი ასაფლავებენ იმათ, მაგრამ თუ ნათესავები არ მოეპოვებათ, გვამები მთელი კვირაობით დაუმარხავი რჩებიან და იხრწნებიან. ეკლესიის კარები მთელი დღე ღიაა და იქიდან გამოდის საშინელი სუნი; გამვლელნი ჰკუმავენ პირს, იფარავენ ცხვირს და მირბიან ამ ადგილთან გავლის დროს. ეხლაც ეკლესიაში იხრწნება ვიღაც მოხუცი. („კრ. ზნ,“ № 22).

საჭირო იყო ერთი „სუბბოტნიკის“ მოწყობა მკვდრების დასამარხავად. ნუ თუ ეს დღემდე ვერ მოიფიქრეს?..

ხოლერა. 25 მაისს ეკატერინოდარში ავათ გახდა 6 კაცი; პაშკოვსკში—1, ნოვოტიტოროვსკი—2, ტროცკიში—1, პოლტავსკში—1, ხადიჟენსკში—2, სტარომიშასტოვსკში—3; მოკვდა—3, ბატურინსკში ავათ გახდა—2, მოკვდა 2; ნიკომიშასტოვსკი ავათ გახდა 6, მოკვდა 2. სულ ეპიდემიის დასაწყისიდან 25 მაისამდე ყუბანის ოლქში ხოლერით ავათ გახდა 995 კ.. მოკვდა 442 კ. ხოლერის ნიშნებით ავათ გახდა 186, მოკვდა 46. („კრ. ზნ.“ № 30).

განმარტებას არ საჭიროებს!..

კავკავი.

რევკომი და მე-10-ე არმიის კომიტეტი. ვაჭრობა თითქმის სავსებით შესწყდა. ბალშევიკები ყიდულობენ, ან კიდევ რეკვიზიციას ახდენენ ნედლი მასალის და ფართლეულობისას და გზავნიან მოსკოვში. სამაგიეროთ არაფერს იძლევიან. დაპატიმრებას ფართო ხასიათი აქვს. ყველა, ვინც კი საქართველოს სამხედრო გზით ჩადის, ვალდებულია გამოცხადდეს „ჩერეზვიჩაიკაში“, სადაც მათ სჩხრეკენ და დაჰკითხავენ; გაჩხრეკას ვერ ასცდნენ საქართველოში განთავისუფლებული ბალშევიკებიც კი. მთელი ძალა-უფლება მე-10-ე არმიის კომიტეტის ხელშია; „რევკომი“ არავითარ ძალა-უფლებით არ სარგებლობს. მცხოვრებლები მოუთმენლად ელიან ხსენებულ კომიტეტისაგან განთავისუფლებას და ნატრულობენ ისეთ მმართველ ორგანოს, რომელიც მათთან ახლო იდგება“. („ვ. გ.“).

მე-10-ე არმიის კომიტეტიდან „რევკომის“ განკარგულებაში გადასვლა ეს იგივეა, რაც ცეცხლიდან წყალში გადავარდნა...

„გლავკოვერხი“ გიკალო და ჩეჩნები გაზ. „ვ. გორეცს“ შემდეგს ატყობინებენ: „რამდენიმე ხნის წინად ცანტურიონში გაიმართა ყრილობა, რომელსაც 5000-მდე წარმომადგენელი დაესწრო. ყრილობაზე გამოიწვიეს სამხედრო კომისარი გიკალო. გიკოლომ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც აღუთქვა ყრილობას, რომ იგი მისცემს მას მანუფაქტურას, სურსათ-სანოვაგესა და ყველაფერს იმ სამსახურისათვის, რომელიც მთიელებმა გაუწიეს საბჭოთა რუსეთს. ყრილობამ აირჩია 5 კაცი, რომლებმაც შემდეგი პასუხი გასცეს გიკალოს: სამხედრო უფროსის მოვალეობას შეადგენს ყოველმხრივ კმაყოფილი ჰყავდეს თავისი ჯარი. თქვენ ვერ შეგიმსავთ თქვენი მხედრობა; მაშასადამე, თქვენ არა გაქვთ საშუალება ჩვენ მოგვცეთ რაიმე. თავიდანვე თქვენ გვეუბნებოდით, რომ ჩვენ დამოუკიდებლათ ვიცხოვრებდით. ამიტომ ჩვენ შეგიფარეთ და გაწვდიდით ყოველგვარ საჭირო საგნებს. ჩვენს დამოუკიდებლობას თვითონ ჩვენ ვიცავდით. ჩვენ გაგვინადგურეს 21 სოფელი, გაგვიწყვიტეს დენიკინთან ბრძოლაში 10,500 კაცი. ჩვენ არ გვქონდა გამარჯვების იმედი, მაგრამ მაინც ვიბრძოდით ჩვენი დამოუკიდებლობისათვის დენიკინის წინააღმდეგ, ასევე ვიბრძოლებთ თქვენს წინააღმდეგაც, თუ თქვენ არა სცნობთ ჩვენს დამოუკიდებლობას, ჩვენ არ ვიცნობთ თქვენს ძალა-უფლებას. ჩვენ გვინდა დამოუკიდებელი ჩრდილო კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა. პირველად დენიკინმაც აღგვითქვა დამოუკიდებლობა, მაგრამ როდესაც მან გაიმარჯვა, უარყო დაპირებები და ჩვენი მთავრობა გარეკა. ასე იზამთ თქვენც. თქვენ, გიკალო, არ შეასრულეთ თქვენი დაპირება; ამიტომ ამიერიდან ჩვენ მტრები ვართ ერთმანეთისა. თქვენ, ბალშევიკები, ამბობთ, რომ ყველაფერი ბევრი გაქვთ იქ,—მოსკოვში. მაგრამ ამ შემთხვევაში რით აიხსნება ის, რომ ერთი ფუთი ფქვილისათვის იქიდან აქ ჩამოდიან? თქვენ მხოლოდ ანგრევთ და სამაგიეროთ არაფერს აშენებთ. ამიერიდან თქვენ ნუ ელით ჩვენგან პურს და სხვა სანოვაგეს. ჩვენ არ გვინდა თქვენი ფული, ქაღალდი; ამით ჩვენ ვერაფერს ვიყიდით“.

ბილშევიკური „ნაკვეხები“. „ვინც კომუნისტების (ბალშევიკების) პარტიაში არ ჩაწერილა, ის „შკურნიკი“ და მტერია,—მტერი მუშათა და გლეხთა რევოლიუციისა“.

„რევოლიუციის ძალა სულგრძელობაში კი არ არის, არამედ—შეურიგებელ და შეუბრალებელ ბრძოლაში“. (კავკ. კომუნისტი“).

„პირველი მაისი—მთელ ქვეყნის მშრომელთა დღესასწაულია; ინგუშები თავისუფლები და განთავისუფლებულნი ხვდებიან ამ დღეს“.

„ასე სწერია ყუბანში: „ყოველი მოქალაქე ვალდებულია სურსათ-სანოვაგის ნაწილი სახელმწიფოს აძლიოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, სურსათ სანოვაგე უწმინდურათ ითვლება“. („კრასნაია ინგუშეტია“).

მინსკი.

„პეხკურსების“ მუშაობა. მინსკის „პეხკურსები“ ენერგიულ მონაწილეობას იღებენ „ვოსკრესნიკებში“. ერთ დროს საქალაქო სასაფლაოზე მოგროვდა ბევრი გვამი, რადგანაც ეპიდემიის გავრცელების გამო ვერ ასწრებდენ მკვდრების დამარხვას. მეცადინეობის შემდეგ კურსელებმა გათხარეს უუდიდესი საფლავი, სადაც დიდძალი გვამი ჩაეტია. უკანასკნელ „ვოსკრესნიკის“ დროს მუშაობდა 201 კურსელი, 2 „კომროსტავი“ და კომისარი. 5 საათის განმავლობაში მათ შემდეგი სამუშაო გააკეთეს: დატვირთეს ნეხვით 10 პლატფორმა, ამოიღეს ნეხვიდან 30 კუნძი, ხარისხების მიხედვით გაანაწილეს 2.000 ფუთი რკინა, გასწმინდეს ტენდერი და სხვა. კურსანტებმა მიიღეს ჯილდოთ თითო გირვანქა პური, რაც რკინის გზის ხელოსნებს დაუთმეს, რამაც უკანასკნელებზე უუდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ასევე იმუშავეს კურსელებმა წინა „ვოსკრესნიკზედაც“. („იზვესტია“ № 87).

თითო გირვანქა პური ჯილდოთ ასეთი მძიმე მუშაობისათვის და ამ ჯილდოს გაჩუქება—ჭეშმარიტად სოციალისტური ქვეყანაა რუსეთი!.. მხოლოდ გაუგებარია, ვინ უნდა იყვნენ ეს „პეხკურსები“...

პეტროგრადი.

სალამი ლენინს. პეტროგრადის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭო პეტროგრადის მშრომელთა სახელით სალამს უძღვნის მას, ვინც პირველად იცნო და ამცნო პროლეტარიატს საბჭოების უუდიდესი მნიშვნელობა, რომლებმაც განახორციელეს პროლეტარიატის დიქტატურა. „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს“,—სთქვა დიდებულმა ბელადმა. „ჩვენა ვართ ძალა-უფლება!“,—უპასუხა მილიონობით ჩაგრულმა ხალხმა. ბელადის გენიალური წინაგრძნობა გამართლდა. („იზვესტია“, № 87).

ნამდვილათ კი, მთელი ძალა-უფლება დარჩა კომუნისტური პარტიის ერთ ჯგუფს...

ეკატერინოსლავი.

კომუნისტური გამოცოცხლება. გუბერნიის ეტყობა გამოცოცხლება. პირველ ყოვლისა აღორძინების გზას დაადგა კომუნისტური პარტია, თუმცა წევრთა რიცხვი არ არის დიდი. ქალაქში 800 წევრია, მაზრაში 1000. პარტიაში ადგილი აქვს სხვადასხვა არა-სასურველ მოვლენას. მაგ., კომუნისტი ბ. გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან, ვინაიდან მან მონაწილეობა მიიღო ბურჟუაზიული სახელის (**именины**) დღის გამართვაში, დათვრა და ჩამოატარა 4 ათას მანეთიანი ტორტი, რომელიც მუშებმა მიართვეს საჩუქრათ მეჭარხნეს. „გუბჩეკის“ კომისარმა ჩხრეკის დროს მიითვისა ბრილიანტი და ვერცხლის საპაპიროსე. ამ დანაშაულობისათვის იგი დახვრეტილ იქნა. აქვს ადგილი ბევრს ასეთ უმსგავსოებას. მიუხედავათ ამისა, წერილის ავტორის სიტყვით კომუნისტების გავლენა მასსაში ძლიერია. იმ დროს, როდესაც მენშევიკებმა არჩევნებში მიიღეს 41 ხმა, მათ მიიღეს 307 ხმა. სურსათიც თანდათან ძვირდება. თუ წინათ პური აქ ღირდა გირვანქა 10 მანეთი, ახლა ღირს 80 მ. ამის მიზეზი არის სასურსათო კომიტეტის მოუმზადებლობა, ტრანსპორტის მოშლა, ბანდიტიზმი და სხვა. („პრავდა“ № 84)

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

21 ივნისი.

ბალშევიკების ცნობები.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. 21. ივნ. პოლოცკის სამხრეთ-დასავლეთით რკინის გზის რაიონში ჩვენ უკუვაგდეთ მტრის რამდენიმე შეტევა. რეჩიცის რაიონში ჩვენმა ჯარებმა მტრის გაძლიერებული სროლის დროს გადალახეს დნეპრი და ძლიერი შეტევით დაიკავეს რეჩიცა. ჩვენი წინსვლა გრძელდება. კოროსტენის მიმართულებით ჩვენ მტრის შევიწროვებას განვაგრძობთ. პროსკუროვის მიმართულებით ჩვენი ნაწილები ვინნიცის დაკავების შემდეგ პოლონელებს მისდევენ.

ქალების მობილიზაცია.

ხარკოვი. გადაწყვეტილია მოხდეს ქალებისა და ახალგაზრდობის მობილიზაცია შაქრის პლანტაციების დასამუშავებლად.

დეზერტირების საქმე.

ვიტებსკის გუბერნიის სამაზრო ქალაქში სავუბ. ტრიბუნალის სესიამ განიხილა 20 საქმე დეზერტირებისა და ყაჩაღების შესახებ. ერთ დამნაშავეთაგანს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

ზედმეტი მუშაობა.

არმავირი. ივნ. 15. ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა სამუშაო დღე გაადიდეს 2 საათით.

საჩუქარი.

კავკავი. ივნ. 15. სოფ. პრივოლნოეს ყაზახებმა 1600 ფუთი ხორბალი აჩუქეს ბაქოს მუშებს.

ინგლისი და უკრაინა.

ოდესა. ივნ. 19. ინგლისი უარს აცხადებს უკრაინის მთავრობის აღიარებაზე. ბონარ ლოუმ ოფიციალურად განაცხადა, რომ უკრაინის მდგომარეობა არავითარ საფუძველებს არ იძლევა უკრაინის მთავრობის აღიარებისასო.

გენ. ვრანგელის ბრძანება.

ოდესა. ივნ. 19. ვრანგელმა ბრძანება გამოსცა, სადაც დენიკინის ჯარის ყველა ოფიცრებს, რომლებიც ბოლგარეთში იმყოფებიან, მიმართავს დაუყოვნებლივ გამოცხადდენ სევასტოპოლში ჯარის შესავსებათ.

სერბია და ბულგარეთი.

ოდესა. ივნ. 19. სერბიასა და ბულგარეთს შორის დაიდო ფარული კავშირი საბერძნეთის წინააღმდეგ.

ფრანგული ცნობები.

მაროკკოს ბიუჯეტი.

დეპუტატთა პალატამ ითათბირა მაროკკოს სამხედრო ბიუჯეტის შესახებ.

შევარდენის დღესასწაული პრაგაში.

პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ლუი ბარტუ მთავრობის წარმომადგენლად იქნება პრაგაში. ამ თავის დამლევს შევარდენის დღესასწაულებზე მუნიციპალური საბჭოც თავის წარმომადგენელს გზავნის.

მცირე აზიის საკითხი.

პალატის საგარეო საქმეთა კომისია პარასკევს ბარტუს თავმჯდომარეობით შეიკრიბა და მოუსმინა საგარეო საქმეთა პოლიტიკურ საქმეების დირექტორ ბერტელოს, რომელმაც დაახლოვებითი ცნობები წამოაყენა 1916 წლის შეთანხმების შესახებ, რომელიც მცირე აზიას შეეხება.

პოლონეთში.

ვარშავიდან იუწყებიან: მანევრის წყალობით, რომელიც წინასწარ გამომუშავებულ გეგმით შესრულდა, პოლონეთის ქვეითი და ცხენოსანი რაზმები რადომისლის მხარეში გარს შემოერტყენ და დაამარცხეს ბუდინის არმიის დივიზია. წამოიყვანეს 800 ტყვე და ხელთ იგდეს 8 ზარბაზანი. „პტი პარიზიენის“ ცნობით ეს ბუდიონის ის ცხენოსანი კორპუსია, რომელმაც აიძულა პოლონეთის არმია კიევის ევაკუაცია მოეხდინა.

ოსმალეთის დელეგაცია.

ოსმალეთის დელეგაციამ კიდევ ითხოვა 15 დღის ვადა საზავო ხელშეკრულებაზე პასუხის გასაცემათ.

ელჩთა კონფერენცია.

ჟიულ კამბონის თავმჯდომარეობით შაბათს შესდგა ელჩთა კონფერენციის სხდომა. კონფერენციამ სურვილი გამოსთქვა, რომ სან-ჟერმენის ხელშეკრულება რაც შეიძლება მალე შევიდეს ძალაში. ეხლანდელი გამოურკვეველ მდგომარეობას დიდი ზარალი მოაქვს დაინტერესებულ ქვეყნებისათვის. კრებამ მოიწონა გერმანიის საპროტესტო ნოტა იმ განსხვავების გამო, რომელსაც ახდენს გერმანია სხვადასხვა სახელმწიფოს მიმართ კომერციულ ტონაჟის და განსაკუთრებით ექსპორტისსა და საბაჟოების შესახებ.

საფრანგეთის ჯარი კილიკიაში.

კონსტანტინეპოლიდან მოსული დეპეშის თანახმად საფრანგეთის ახალშენების ჯარი კილიკიაში გაიგზავნება, როგორც კი ინგლისის ჯარი დაიჭერს ოსმალეთის საზღვარს ჩატალჯაში.

ოსმალეთის საკითხი.

დამად ფერიდ ფაშა 15 დღის ვადას თხოულობს. „დეილი მეილი“-ს წარმომადგენელს მან განუცხადა, რომ მუსტაფა ქემალი ჩამომავლობით სალონიკელი ებრაელია, მისი მთავარი თანამშრომელი რუსტემ-ბეი პოლონელი და ალი თეზადიკი გერმანელიაო. აი,—სთქვა მან, ვინ აცხადებს პრეტენზიებს ისლამის მოძრაობაზე. ოფიცერ ქემალისტთა რიცხვი,—დაუმატა დიდმა ვეზირმა, ეკუთვნის მათ, ვინც ადგილი დაკარგა დროებითი ზავის შემდეგ, ან შეშინებული არის ხოცვა-ჟლეტაში მონაწილეობის მიღებაში. დამად-ფერიდმა განაცხადა, ქემალის ჯარი ვითომ 100,000 კაცისაგან შედგებოდეს—გადამეტებული უნდა იყოსო.

მოკავშირეთა ჯარები სტამბოლში.

კონსტანტინეპოლიდან მოსული ცნობის თანახმად მოკავშირეთა ძალები სრუტეებში ამგვარად განაწილდება: ინგლისელები მილნის სარდლობით დაიცავენ აზიის ნაპირს, გარდა კონსტანტინოპოლისა, საფრანგეთის ძალები, ევროპის ნაპირს, გარდა კონსტანტინოპოლსა.

„ტანის“ კორესპონდენტის ცნობით ნაციონალისტთა გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ გვერდი აუხვიონ ინგლისის სექტორს და დაემუქრონ კონსტანტინოპოლ-ჩამლიჯის სიმაღლეებიდან, აზიის ნაპირებიდან აზიის ნაპირებზე და ბოსფორზე ფორტების განადგურებას შეუდგებიან.

ბავშთა შრომის საკითხი.

გენუის კონფერენციამ გადასწყვიტა დაინიშნოს კომისია ბავშთა შრომის საკითხის შესასწავლად (დამახიჯებულია). მან გამოიტანა აგრეთვე დადგენილება ფინეთის კონფერენციისადმი შეერთების შესახებ.

საერთაშორისო ომის საბუთები.

პირველი გამოფენა სამხატვრო საგნებისა და საბუთებისა, რომელიც შეეხება საერთაშორისო ომს და რომელიც საფრანგეთის მოკავშირეებსა და ცენტრალურ სახელმწიფოებს ეკუთვნის, შესდგება პარიზში 15 ივლისსა და 15—ოქტომბერს შუა.

ახალი ამბები

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის ჩამოსვლა. კვირას, 20 ივნისს, თფილისში ჩამოვიდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ს. მ. კიროვი. რუსეთის წარმომადგენლებს შეხვდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ნ. ქარცივაძე, თფილისის კომენდანტი გენ. მიქაშავიძე, გვარდიის დივიზიონის საპატიო ყარაული მუსიკით. მისიის დასაბინავებელ შენობასთან მათ შეხვდნენ რუსეთის მოქალაქენი, რომელთაც კიროვმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა, რომელიც რუსეთის და საქართველოს მშრომელი დემოკრატიის დღეგრძელობის სურვილით დაასრულა.

◆ **ხან-ხოილის მოკვლა** მე-2 უბნის კომისარმა შაბათს თფილისის ქალაქის მილიციას, ქალაქის თავს, ოლქო სასამართლოს პროკურორს, პროკურორის ამხანაგს და პირველი უბნის გამომძიებელს შემდეგი აუწყა: დღეს, 19 ივნისს, ღამის 11 საათზე ბოროტ-გამზრახველებმა ფეოდოსიის ქუჩაზე რევოლვერით მძიმეთ დასჭრეს ადერბეიჯანის ყოფილი მინისტრი ხან-ხოილი. გამოძიება სწარმოებს. მიღებულია ზომები ბოროტ-გამზრახველების აღმოსაჩენათ. ფეოდოსიის ქუჩაზე მომხდარ ბოროტების შესახებ დაუყონებლივ აუწყეს მთავრობის წევრებს. გაიცა კატეგორიული განკარგულება, რაც შეიძლება დაწვრილებით გამოიძიონ და გამოარკვიონ მკვლელობის ამბავი. როგორც კი გამოძიება დასრულდება, მას მოყვება მთავრობის ცნობა ამ საქმის შესახებ. დაახლოვებით 12 საათზე შაბათს ხან-ხოილი მიიყვანეს მიხეილის საავათმყოფოში, რომელიც გონებაზე არ მოსულა, ისე გარდაიცვალა 20 ივნისს დილის 4 საათზე, გამოსვენება მოხდა დილის 11 საათზე 21 ივნისს. გარდაცვალებული მაჰმადიანთა სასაფლაოზე დაასაფლავეს. ხან-ხოილის თანამგზავრი ქალილ ბეკშახ მამედოვი მსუბუქათ დაიჭრა მისი მდგომარეობა უმჯობესდება. მკვლელობის ადგილას ცნობის მიღებისთანავე გამოცხადნენ: ქალაქის თავი, აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ-გუბერნატორი, იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორი გ. თ. ჟორდანია, სასამართლოს პალატის პროკურორი ციციშვილი, ოლქის სასამართლოს პროკურორი კანდელაკი, უბნის პროკურორის ამხანაგი, გამომძიებელი და სხ. კვლევა-ძიებას აწარმოებს უდიდეს საქმეთა გამომძიებელი მ. თ. ჯომარჯიძე.

◆ **იტალიის წარმომადგენლის ჩამოსვლა.** კვირას, 20 ივნისს, დღის 1 საათზე თფილისში ბათომიდან ჩამოვიდა იტალიის საგანგებო ელჩი და საგარეო საქმეთა მინისტრის რწმუნებული მერკანტელი. იტალიის წარმომადგენელს სადგურზე შეეგებენ საგ. საქმეთა მინისტრის ამხ. ნ. ქარცივაძე, სამხ. მინისტრის ამხ. გენ. გედევანიშვილი, გენ. ჯაფარიძე და მიქაშავიძე. ბაქანზე საპატიო ყარაული იყო ჩამწკრივებული.

◆ **გოდერძის ფრონტზე.** თფილისში დაბრუნდა დამფუძნებელი კრების წევრი გ. ფალავა, რომელმაც გოდერძის გადასავალი ინახულა. საქართველოს დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს ფალავამ შემდეგი განაცხადა: ხულოში მომხდარი ამბების შემდეგ ჩვენი მდგომარეობა ჩქარა იქნა აღდგენილი. ამ ფრონტზე ახალი ძალები იქნა მოყვანილი. ჯარის სულიერი მდგომარეობა საუცხოვოა. იღებს რა მხედველობაში ზურგის ყურადღებას, ჯარი გრძნობს თავის პასუხისმგებლობას სამშობლოს წინაშე და თავის საომარ დანიშნულებას ჩქარა და შეგნებულად ასრულებს, ერთი სიტყვით, ისე, როგორც უნდა შეასრულონ რესპუბლიკის ჭეშმარიტმა მოქალაქეებმა. ძირითადი ტეხილი მოხდა აგრეთვე აჭარაში. აჭარლებმა საბოლოოდ შეიგნეს, რომ საქართველოს, რომელიც ძლიერია თავისი შინაგანი მთლიანობით, ვერ დასცემს ვერც შინაური და ვერც გარეშე ავანტიურისტები. მხოლოდ აჭარას, რომელიც შეუერთდება საქართველოს, შეუძლიან მშვიდობიან ცხოვრებასა და კულტურულ განვითარებას მიაღწიოს. ასეთმა შეგნებამ გაიმარჯვა ბოლოს და აჭარლები ახლა იარაღით ხელში იცავენ საქართ. ორიენტაციას. სწორედ ეს არის მიზეზი ძმათა შორის სისხლის ღვრისა, რომელიც სამწუხაროთ შეგნებულ ნაწილსა და ავანტიურისტულ ელემენტებს შორის არის. ახალციხის რაიონში სამაგალითო წესრიგია. ერობათა ორგანიზაციები თავის საშუალების მაქსიმუმს იძლევა, რომ მოაწესრიგოს ადმინისტრატიული აპარატი. გ. ფალავა, 19 ივნისს დამფუძნებელი კრების წევრის ა. სალუქვაძესთან ერთად ხელახლა გაემგზავრა ფრონტზე.

◆ **შრომის სასამართლო.** შრომის სასამართლომ შეიმუშავა სასამართლოს პროექტი. შრომის სასამართლო გადასწყვეტს ყოველგვარ დავას, რომელიც მუშათა და მეპატრონეებს შორის აღიძრება. მას ექნება ორი განყოფილება: სასამართლო და მომრიგებელი. მის გადაწყვეტილებას ექნება საერთო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალა. შრომის სასამართლო არსდება იმ ოლქებში, სადაც 5,000 მუშაზე ნაკლები არ არის, სადაც მუშათა რიცხვი ნაკლებია, იქ ეს სასამართლო დაარსდება შრომისა და იუსტიციის სამინისტროების ნებართვით. შრომის სასამართლოებში შედიან თანაბრად მუშებისა და მეპატრონეთა წარმომადგენლები და სხვა საქმეების საბოლოო გადასაწყვეტათ და შრომის სასამართლოების განაჩენთა საკასაციო წესით განსახილველად თფილისში არსდება მთელი რესპუბლიკისთვის ერთი შრომის პალატა.

◆ **ბორჯომის მამული.** ბორჯომის სახელმწიფო მამულს განზრახვა აქვს მამულის სამეცნიერო აღწერის გამოშვება. ეს ნაშრომი იქნება ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. გამოცემის მიზანია: მისცეს მკითხველს საქართველოს ერთ უძვირფასეს კუთხეს მთლიანი სურათი. გამოცემაში იქნება მრავალი სურათები, რომელთათვის უკვე 40 კლიშე არის დამზადებული. პირველად იგი ქართულ ენაზე გამოიცემა.

◆ **თეთრი ნახშირი.** 19 ივნისს ფინანსთა სამინისტროსთან კონცესიების და მონოპოლიის განსაკუთრებულ კომისის სხდომა შესდგა. განსახილველი იყო თეთრი ნახშირის კერძო საექსპლოატაციოთ გადაცემის ნორმალურ ხელშეკრულების პროექტი, სადგურის მიერ ყოველ გამომუშავებულ ელექტრონის ენერგიის ერთეულზე მწარმოებელი მთავრობას განსაზღვრულ პროცენტს აძლევს. ენერგია, რომელსაც მწარმოებელი აძლევს მთავრობას, თავი[illegible] სახადისაგან. ამასთანა[illegible] მიცემულ ენერგიის ფასი არ შეიძლება თვით ღირებულების ფასზე მეტი იყვეს. ამას დაემატება მხოლოდ საწარმოო მოგების საშუალო %. მთავრობის მოთხოვნილება კონცესიონერმა განცხადების შემდეგ, არა უგვიანეს 2 წლისა, უნდა დააკმაყოფილოს. კონცესიის ვადა საშუალოდ 60 წლიწადია, რის შემდეგაც მთელი მოწყობილება მთავრობის საკუთრებაში გადადის. შესაძლებელია აგრეთვე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადის გასვლამდე კონცესიის გამოსყიდვა. ნორმალურ საკონცესიო ხელშეკრულების პროექტი მიღებული იქნა. უკანასკნელი სარედაქციო შესწორების შემდეგ ეს პროექტი გადაეცემა დასამტკიცებლათ ფინანსთა მინისტრს.

◆ **ტყიბულის ქვანახშირი.** ტყიბულიდან დაბრუნდა თფილისის ქალაქის წყალსადენის დირექტორი, ინჟინერი დიასამიძე და ქალაქის ტრამვაის მთავარი ინჟინერი გვასაძე, რომელნიც წასულნი იყვნენ ტყიბულში ადგილობრივ ქვა-ნახშირის თვისებების შესასწავლად და იმის გამოსარკვევად, თუ რამდენათ შეიძლება უვარგის ქვა-ნახშირის ფხვნილად გადაქცევა, რომელიც საჭიროა ორთქლის ქვაბების უკვამლო გასათბობათ. ქვა-ნახშირის გაცნობამ ინჟინერ დიასამიძეს და გვასაძეს საშუალება მისცა დასკვნა გამოეტანათ, რომ შესაძლებელია ამ ქვანახშირის ნამტვრევის ბრიკეტების სახით გამოყენება. ტყიბულის ქვა-ნახშირის, განსაკუთრებით მისი სხვადასხვა ნარევისაგან გაწმენდის შემდეგ გამოყენების საკითხის დადებით გადაჭრას, დიასამიძის აზრით, უაღრესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ახლავე შეუდგნენ ბრიკეტების დამზადებას, ვინაიდან ტყიბულში არის ბრიკეტის ქარხანა, რომელიც ამ ჟამად არ მუშაობს.

◆ **გამოცდები გზათა ტეხნიკოსის ხარისხზე.** დღეს, 22 ივნისს, იწყება გამოცდები გზათა ტეხნიკოსის ხარისხზე. გამომცდელ კომისიაში შედიან პოლიტეხნიკურ სასწავლებლიდან: დირექტორი ინჟ. ვ. კაკაბაძე, მასწავლებელნი: ინჟ. ვ. ავალიანი და ინჟ. გ. სარქისოვი; გზათა დეპარტამენტიდან: ინსპექტორი ინჟ. ნ. გვარამაძე, ახალ რკ. გზათა განყოფილების უფროსი ინჟ. კრანცი და გზა-ტკეცილების სამმართველოს ტეხნიკური განყოფილების უფროსი ინჟ. ოლეისკი.

◆ **ტეხნიკუმების რევიზია.** განათლების სამინისტროსაგან თფილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებლის დირექტორს დავალებული აქვს მოახდინოს ყოველმხრივი რევიზია „კავკასიის“ და „თფილისის“ ტეხნიკუმებისა. რევიზია უკვე დაიწყო. ვისაც რაიმე განსაცხადებელი აქვს რევიზიასთან დაკავშირებული საკითხების გამო, შეუძლია წერილობით ან პირადათ მიმართოს ინჟ. ვ. კაკაბაძეს, (დიდი მთავრის ქ. № 70), პოლიტეხნიკური სასწავლებელი.

◆ **„ჩვენი გზა“.** ივნისის 20-ს თფილისში გამოვიდა ახალი ყოველკვირეული გაზეთი „ჩვენი გზა“—ორგანო საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტისა. გაზეთი გამოდის ჟურნალ „ახალ კვალის“ მაგივრათ.

◆ **ტყავის დამმზადებელ მუშების** და ტყავეულობის მომუშავეთა კავშირის გამგეობა თავის წევრთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ კავშირის ბიურო მოთავსებულია მუშათა სასახლის მე-26 ოთახში, მესამე სართული. ყოველგვარ საქმეზე წევრებს შეუძლიანთ მიმართონ კავშირს ყოველ დღე: დილის 9 საათიდან—12 საათამდინ და საღამოს 5—8 საათამდე.

◆ **კანტროლი ბაზარზე.** შრომის სამინისტროში მუშავდება კანონ-პროექტი ბაზრის კონტროლიორების უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ.

◆ **დაქირავების კერძო კანტორების დახურვა.** პროფ. კავშირთა სეკრეტარიატმა მიმართა ქალაქის თვითმართველობას წინადადებით მიიღოს ზომები, რათა დახუროს ის კერძო კანტორები, რომელიც შრომის მიწოდების მოთხოვნილების საქმეებს აწესრიგებს. კანტორათა დაკეტვის გასამართებლად ის საბუთი მოყავთ, რომ მათი მოქმედება ძლიერ უშლის ხელს ქალაქის შრომის ბირჟის მოქმედებასო.

◆ **სკოლის გარეშე სწავლა-განათლების** გამავრცელებელმა საზოგადოებამ შესწყვიტა მეცადინეობა ზაფხულის განმავლობაში. ახალი მსმენელების მიღება და ჩაწერა საზამთრო სემესტრისთვის დაიწყება 1-ლ აგვისტოდან, ხოლო ცნობების მიღება შეიძლება ყოველ სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღამოს 7—8 ს. მუშათა სასახლეში მე-3 სართული, ოთახი № 24, ბეჭდვითი სიტყვის პროფესიონალურ კავშირის გვერდით.

◆ **ნ. ჟორდანიას ახლად ქართული** წიგნის შეძენა შეიძლება აგრეთვე კანტორა „განათლებაში“.

◆ **ტყის წარმოება.** 1920 წლის იანვრიდან პირველ ივნისამდე თფილისში შემდეგი ტყის სახერხი ქარხნები მუშაობდა. კერძო 8, სამხედრო 1, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების 1. დახერხილია კერძო ქარხნებში 77,000 კვ. გოჯი, სამხედრო ქარხანაში 23,000 კვ. გოჯი და ეკონომიურ საზოგადოების ქარხანაში 40,000. მიმდინარე წლის განმავლობაში სამხედრო ქარხნების მიერ გაცემულია სამხედრო უწყებებზე 60418, დაწესებულებებზე 25074 კვ. და კერძო პირებზე 5465 კვ. გოჯი.

◆ **ჟურნალი „ბრატსტვო“.** გამოვიდა ჟურნალ „ბრატსტვოს“ პირველი ნომერი. ჟურნალს რედაქტორობენ: ა. ი. ყანჩელი და გრ. დიასამიძე. პირველ ნომერში მოთავსებულია წერილები: ივ. თუმანიანი—„ბრწყინვალე ფურცლები

სომხები, ქართველები და თათრები“ გერცო-ვინოგრადსკი—„ხალხთა ძმობა“; ნ. სოკოლოვისა—„კაცობრიობა და ადამიანობა“; გრ. დიასამიძე—„ჩვენი მიზნები“; ჩურსინი—„კავკასიის ეთნოგრაფიის მიზნები“; ალ შერვაშიძე—„განწყობილება“; დიმ. გორდეევი—„შენიშვნები ძველ—ქართულ ქანდაკების გამოფენის შესახებ“; ვ. ავდეევი—„პორტი რიონი“. ი. ჩ.—„გ. თუმანოვი“; ლექსები ს. ყანჩელისა, ს. რაფალოვიჩის, ს. გარადეცკის, და სურათები სუდეიკინის, ნიკოლაძისა და სარანის.

კრებები.

— დღეს, 22 ივნისს, საღამოს 9 ს. ბიუროს ბინაზე დანიშნულია სრ. საქ. მასწავლებელთა კავშირის საბჭოს და აღმოსავლეთ საქართველოს საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირის გამგეობის შეერთებული კრება. სთხოვენ საბჭოს და გამგეობის წევრებს და აგრეთვე მათ კანდიდატებს უსათუოდ დაესწრონ კრებას.

— სამშაბათს, 22 ივნისს, 1 ს. დანიშნულია იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ სასამართლოს საგანგებო დარბაზში ხსენებულ სამინისტროს უწყების დაწესებულებაში მოსამსახურეთა საერთო კრება. დასწრება სავალდებულოა ყველა მოხელესთვის:

ჩვენი სტუდენტების მდგომარეობა გერმანიაში

(წერილი რედ. მიმართ).

გერმანიის უმაღლესი სასწავლებლები სავსეა სტუდენტებით; ამიტომ უცხოელ სტუდენტების მიღება მხოლოდ გამონაკლისის სახით შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, მიღება უნდა მოხდეს იმ სამინისტროს ნებართვით, რომელსაც ექვემდებარება ესა თუ ის სასწავლებელი. ზოგიერთ სასწავლებელში უცხოელებს სწავლის ფასათ ოქროს ახდევინებენ (13—15 ჯერ მეტს, ვიდრე გერმანიის სტუდენტებს); ზოგიერთ უნივერსიტეტებში მიმდინარე საზაფხულო სემესტრში უცხოელები იხდიდენ 300—400 მარკის მაგიერ 5000 მარკაზე მეტს; გერმანიის თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ახლა საჭიროა შესასვლელი გამოცდა.

ბერლინში მყოფ საქართველოს მისიის შუამდგომლობით ქართველი სტუდენტები (რომელთა რიცხვიც გერმანიაში 73 უდრის; ამათგან 41 სტიპენდიანტია) წინასწარ გამოუცდელად მიიღეს უმაღლეს სასწავლებელში. ადერბეიჯანელ სტუდენტებს გერმანიაში ჩამოსვლის თანავე საქართველოს მისიამ უშოვნა განსაკუთრებული ნებართვა უმაღლეს სასწავლებელში მისაღებათ. მაგრამ გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ ამ ჯგუფების სტუდენტებისათვის. და შემდეგში ამნაირი შეღავათის მოცემის იმედი არ არის. მაგრამ არა მარტო შეღავათი არ იქნება მიცემული, არამედ მოკლე ხანში ახალი უცხოელი სტუდენტები საზოგადოთ არ იქნებიან მიღებულნი, რადგანაც უნივერსიტეტები და უმაღლესი სასწავლებლები იმ ზომამდე სავსეა მსმენელებით, რომ იძულებულნი არიან უარი უთხრან მიღებაზე თვით გერმანელებსაც კი, უნდა ვაცნობო ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას ვისაც საზღვარ-გარეთ გამომგზავრება ჰსურს, რომ უახლოეს სემესტრში გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში იმათთვის კარებები დახურული იქნება.

ჩვენი სტუდენტები არასტიპენდიანტები მატერიალურის მხრით მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. ისინი დაიმედებულნი იყვნენ, რომ საზოგადოება დახმარებას აღმოუჩენდა მათ; მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. ჩვენდა სავალალოთ, ჩვენს სტუდენტებს—არა სტიპენდიანტებს არავითარი დახმარების იმედი გერმანიაში არა აქვთ, მისიის მხრივ. ვალის სახით ფულის მიცემა *) ეხლა შეწყვეტილია. თუ ჩვენი არა სტიპენდიანტ სტუდენტების მშობლები არ იზრუნებენ იმათთვის **სულ მოკლე დროში**, სტუდენტები გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდებიან. დაბეჯითებით ვსთხოვთ იმ მშობლებს, რომელთა შვილებიც არა სახელმწიფო ხარჯზე სწავლობენ გერმანიაში,—რეგულიარულათ შეიტანონ საგარეო საქმეთა სამინისტროს კასაში იმათი შვილებისთვის საჭირო თანხა. **მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან ოფიციალურ ცნობის მიღების შემდეგ იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ პირისათვის შეტანილია განსაზღვრული თანხა (მარკებით), მიეცემა ამ პირს აღნიშნული თანხა** საქართველოს მისიიდან.

უმორჩილესად ვსთხოვ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

ბერლინი, 10 მაისი, 1920 წ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი გერმანიაში,
ვლ. ახმეტელაშვილი.

საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე ყრილობა

17 ივნისის დილის სხდომა.

კონტრ-მომხსენებლათ გამოდის **აკ. ჩხენკელი.** მოგვყავს მისი სიტყვებიდან უმთავრესი აზრები:

ამხ. ნ. ჟორდანიამ სთქვა, რომ საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი ბურჟუაზიულია, ვინაიდან ის ემყარება პარლამენტარიზმის პრინციპზე, ცენტრალური კომიტეტის შესწორებანი კი დემოკრატიულიაო. რადგანაც ის ემყარება დამორჩილების პრინციპზე მე კი ვამტკიცებ, რომ ცენტრალური კომიტეტის შესწორებანი უაღრესად პარლამენტარულია. უაღრესი დემოკრატიზმი კი გულისხმობს იმას, რომ ხალხი მუდმივათ უშუალოთ განაგებს თავის საქმეებს. პარლამენტარიზმის დროს ღერძი მართვა-გამგეობისა არის პარლამენტი და მის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა და არა უშუალოთ ხალხი; და არც შეიძლება ხალხი უშუალოთ მართავდეს და გამგებლობდეს. რეფერენდუმის და ინიციატივის უფლება ერთგვარი რეზერვია ხალხისა, რომელიც იშვიათად სარგებლობს ამ უფლებით. შემდეგ მომხსენებელი ეხება პასუხისმგებლობის და დამორჩილების საკითხს, ანალიზს უკეთებს თუ რისთვის იცვლება ევროპაში ხშირათ კაბინეთი და ამბობს: მინისტრები ხშირად იცვლებიან არა იმიტომ, რომ იქ ინტრიგაა გამეფებული, (საზოგადოთ ინტრიგა კაბინეთის ცვლილების დროს არსად არ თამაშობს უმთავრეს როლს) იმიტომ, რომ იქ აბსოლიუტური უმრავლესობა არა ყავს არც ერთ პარტიას, ჯგუფს, ჩვენში თუ არ მოხდა მინისტრების გაცვლა, ეს იმიტომ, რომ ჩვენი პარტია უმრავლესობას წარმოადგენდა და აქ შეუძლებელი იყო კრიზისები. რაც შეეხება პასუხისმგებლობას, იმას გულისხმობს, როგორც ბურჟუაზიული რესპუბლიკა, ისე დემოკრატიული რესპუბლიკაც. პასუხისმგებლობა დემოკრატიულ რესპუბლიკაში გულისხმობს უფლებასაც და მოვალეობასაც. მაშინ, როდესაც დამორჩილების პრინციპი გულისხმობს მხოლოდ მოვალეობას და არა უფლებას. ცენტრალური კომიტეტის შესწორებანი ემყარება არა მარტო დამორჩილებაზე, არამედ პასუხისმგებლობაზეც, ამ „ბურჟუაზიულ“ პრინციპზე. ამ შესწორებაში არის მორჩილებაზე ლაპარაკი, მაგრამ იქვე სწერია, რომ თუ პარლამენტსა და მთავრობის შორის აღმოჩნდა პრინციპიული განსხვავება, მაშინ მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს არ დაემორჩილოს და წავიდეს. სად არის აქ დამორჩილება? თუ წასვლა შეუძლია, მაშინ დამორჩილებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ორივე პროექტი, როგორც ცეკას შესწორებანი, ისე საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი ხასიათდება კომპრომისებით, ორივე უსისტემობაზეა დამყარებული. მე კი ვარ სისტემის მომხრე. ერთი რომელიმე სისტემა აუცილებლად უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენს კონსტიტუციას. კომისიაში იყო ორი სისტემა შვეიცარიის უპრეზიდენტო და საფრანგეთის პრეზიდენტიანი. მომხსენებელი ორივე სისტემას ანალიზს უკეთებს და ასკვნის, რომ, ორივე სისტემას აქვს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. შვეიცარიის სისტემას ახასიათებს მოხელეთა მთავრობა, საფრანგეთის სისტემა კი შეიცავს პოლიტიკურ მთავრობას. ჩვენ უპირატესობა უნდა მივსცეთ საფრანგეთის სისტემას, ვინაიდან ჩვენ გვეჭირება უაღრესად პოლიტიკური მთავრობა. ეს პასუხისმგებლობა გულისხმობს, როგორც უფლებას, ისე მოვალეობასაც. მე ვიცავ ცენტრალური კომიტეტის შესწორებებს, მხოლოდ მოვითხოვ, რომ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის უფლებები სასტიკად იქნას განსაზღვრული. შესწორებიდან ამოშლილ უნდა იქნას მუხლი სადაც ლაპარაკია ბრძანების გამოცემაზე. მას შეუძლია გამოსცეს ბრძანება, როგორც რესპუბლიკის თავმჯდომარეს, მაგრამ ამ მხრივ მისი კომპენტენცია განსაზღვრული უნდა იქნას. ამხ. ჩხენკელი ამტკიცებს, რომ რესპუბლიკის თავმჯდომარე, იგივე პრეზიდენტია. დასასრულ მომხსენებელი აყენებს შემდეგ ძირითად დებულებებს:

სახელმძღვანელო დებულებანი აღმასრულებელ ხელისუფლების შესახებ.

მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც იმავე დროს არის თავმჯდომარე რესპუბუბლიკისა. თავმჯდომარე უპორთფელოა.

მთავრობის და რესპუბლიკის თავმჯდომარეს ირჩევს პარლამენტი ერთი წლის ვადით

მთავრობის თავმჯდომარე მოახსენებს პარლამენტს ცნობად მინისტრთა სიას, ერთი მათგანი დასახელებული უნდა იყოს, როგორც მისი მოადგილე.

რესპუბლიკის თავმჯდომარეს ევალება:

ა) წარმომადგენლობა რესპუბლიკისა.

ბ) კანონების გამოქვეყნება.

გ) უმაღლეს მოხელეთა დანიშვნა და დათხოვნა.

დ) რესპუბლიკის თავდაცვის ძალთა მეთაურობა.

მთავრობის თავმჯდომარე ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებას და აასრულოს იგი და ამის და მიხედვით მოახდინოს კიდეც შეცვლა ცალკე მინისტრის ან გარდაქმნა მთელი კაბინეტის. **ყველა ეს ცვლილება მოხსენდება პალამენტს ცნობად-**

თვითეული მინისტრი დამოუკიდებლათ და პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით უძღვება მისთვის მინდობილ საქმეს. **ის უნდა გადადგეს, თუ პარლამენტმა თავის გადაჭრილ დადგენილებით უნდობლობა გამოუცხადა მას.**

პარლამენტს უფლება აქვს კონსტიტუციის დარღვევისათვის სამართალში მისცეს როგორც მთავრობის და რესპუბლიკის თავმჯდომარე, ისე თვითეული მინისტრი.

კ. ნინიძე აღნიშნავს, რომ ყრილობა ერთ რამეში შეთანხმდა: ჩვენ ყველანი უარვყოფთ ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში არსებულ პარლამენტარულ რეჟიმს. მე ვამტკიცებ, რომ მთავრობა უნდა იყოს პასუხისმგებელი პარლამენტის წინაშე. ორატორი ახალი საბუთებით იცავს კომისიის პროექტს.

გ. გიორგაძე იცავს კონსტიტუციის კომისიის მიერ წარმოდგენილ პროექტს და ამბობს: კომისიის კანონ-პროექტს აქ დამცველი არ აღმოაჩნდა, ეს იმას ამტკიცებს, რომ კომისიის პროექტი ისეთი რამ არის, რასაც დამცველიც არ ესაჭიროება. აქ განაცხადეს, რომ პარლამენტს არ აქვს თავისი პოლიტიკა, პოლიტიკას აწარმოებს მხოლოდ მთავრობა. ეს აზრი არ არის მართალი. პოლიტიკას ქმნის თვითონ პარლამენტი და პარლამენტის ამ პოლიტიკას ცხოვრებაში ატარებს მთავრობა. მე ვსთქვი, რომ მთავრობა ფრაქციას ფაქტის წინაშე აყენებდა მეთქი. მე ვამბობდი ამას როგორც ფრაქციის მომხსენებელი და არა პარლამენტის. ჩხენკელმა კი ეს ორი ცნება ერთი-მეორეში აურია. მე აქ დამწამეს, თითქოს ოპოზიციის აზრები გამომეთქვას ჩემს მოხსენებაში და არა ფრაქციის. მე ვაცხადებ აქ ყველას გასაგებათ და ვითხოვ, ეს ჩემი განცხადება სისწორით იქნას აღნიშნული, როგორც სტენოგრაფიულ ოქმებში, ისე გაზეთში. ჩემი განცხადება შემდეგია: მე მოხსენება გავაკეთე ფრაქციის დავალებით, ბიუროს დავალებაში მე ჩემი მოხსენების ძირითადი დებულებები ბიუროს გაუზიარე და მისი დასტურით მოგახსენეთ თქვენ. ის განცხადება კი, რომ მე თითქოს ოპოზიციის მომხსენებელი ვყოფილიყვე და ოპოზიციის აზრები გამომეთქვა, სრული სიცრუეა. მე აშკარათ ვაცხადებ, რომ მე არ ვყოფილვარ ოპოზიციის წარმომადგენელი, არამედ მე ვიყავი ფრაქციის, როგორც ასეთის წარმომადგენელი.

ორატორი აღნიშნავს, რომ მას პირადობა, პირადული ინტერესები კი არ ავალებენ ეგრეთ წოდებულ ოპოზიციაში ყოფნას, არამედ მისი შეხედულებები, რომელნიც გამოწვეულია საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი საქმის ინტერესით. დასასრულ ორატორი ანალიზს უკეთებს ცენტრალურ კომიტეტის შესწორებებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამ შესწორებათა მიღება დაუშვებლათ მიაჩნია. ის მოითხოვს კომისიის მიერ მიღებულ პროექტის დადასტურებას. ორატორი ყოვლად დაუშვებლად სთვლის, რომ როდესაც მთავრობა გადადგება მიტომ, რომ მისი პოლიტიკა არ ეთანხმება პარლამენტის მთავრობას, მთავრობის თავმჯდომარე, ამ პოლიტიკის მწარმოებელი დარჩეს თავის ადგილზე. ეს იურიდიულად დაუშვებელია და ფაქტიურად განუხორციელებელი.

კომისიის პროექტი იცავს დამორჩილების პრინციპს. როდესაც მინისტრს გადაჭრილ უნდობლობას უცხადებს პარლამენტი, ის მაშინ მიდის და არა ყოველ შემთხვევაში, როგორც ამას წმინდა პარლამენტარიზმი მოითხოვს. მთავრობა და მისი წევრები ასრულებენ პარლამენტის დადგენილებას. ხალხს ეკუთვნის რეფერენდუმი და ინიციატივა. ადერბეიჯანი ამ სისტემით კი არ იყო სუსტი, არამედ მით, რომ მთავრობამ ვერ შემოიკრიბა თავის გარშემო ხალხი. მთავრობის თავმჯდომარემ მოგახსენათ, რომ ბალშევიკების მთავრობა ძლიერიაო; მეც მოგახსენეთ, რომ ჩვენ გვინდა ძლიერი მთავრობა, მაგრამ არა ხიშტებზე დამყარებული, არა უმცირესობის ბატონობა უმრავლესობაზე, არამედ დამყარებული ხალხის ნდობაზე. მხარს უჭერს კომისიის პროექტს-უპრეზიდენტობის სისტემას.

შემდეგ ლაპარაკობენ ვ. თევზაია და რ. არსენიძე, რომელნიც მოხდენილ სიტყვებში იცავენ ცენტრალურ კომიტეტის მიერ წარმოდგენილ შესწორებებს და სასტიკათ ილაშქრებენ პარლამენტარული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

პრეზიდენტის სისტემას მრავალი მაგალითებით იცავს **პ. საყვარელიძე**, რომელიც ეკამათება ამხ. ჟორდანიას მიერ წამოყენებულ პრინციპებს და სხვათა შორის ამბობს: ამხ. ნ. ჟორდანიას გონია, რომ დამორჩილების პრინციპი თუ იქნა, ეს დემოკრატიულია, პასუხისმგებლობის პრინციპი კი ბურჟუაზიულია, სრული იურიდიული გაუგებრობათ უნდა ჩაითვალოს. ორატორი აღნიშნავს, რომ შვეიცარიაში, სადაც მოხელეებს ხალხი პირდაპირ ირჩევს (ამას კი უაღრეს დემოკრატიზმათ სახავენ:) სოციალისტური დემოკრატია წინააღმდეგია ამ არჩევნების, ამ ოფიციალური სისტემის. შემდეგ ორატორი ეხება პასუხისმგებლობის პრინციპს და ასე აყენებს კითხვას: როგორ შეიძლება მთავრობის თავმჯდომარე იყოს იმავე დროს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი? პასუხისმგებელი მთავრობა ხომ უნდა გადადგეს, როცა მას უნდობლობას გამოუცხადებენ და ამ მთავრობასთან ერთად მისი თავმჯდომარეც გადადგება. მაშინ ხომ დარჩება ცარიელი ადგილი? ხომ დარჩება რესპუბლიკა უმთავრობოთ, როგორც ეს ადერბეიჯანში იყო ხშირათ. მართალია, ადერბეიჯანში ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ ჩვენში კი ეს არ შეიძლება ასე იყოს. თავისთავად იბადება კითხვა პრეზიდენტის არსებობის შესახებ. დღევანდელ პირობებში, როცა ირგვლივ ველური მტრები გვახვევია, არ შეიძლება უპრეზიდენტოთ ჩვენმა რესპუბლიკამ ხეირიანათ იარსებოს. აუცილებლათ უნდა შემოღებულ იქნას პრეზიდენტი. არც ამერიკის სისტემა, არც შვეიცარიის და არც საფრანგეთის ჩვენთვის არ არის მისაღები. ჩვენ გვინდა პასუხის მგებელი პრეზიდენტი, მას უნდა მიენიჭოს უფლება შეზღუდული.

ჟორდანიამ მომხსენებლის საბოლოო სიტყვაში ხაზი გაუსვა პრეზიდენტის სისტემის მიუღებლობას, მან სთქვა: პარლამენტარიზმი ხასიათდება ხშირი ცვლილებებით მინისტრებისა, ინტრიგებით, მთავრობის რყევით, ქანაობით, ხოლო პრეზიდენტი ეს პარლამენტარიზმის კორექტივია, პარლამენტარული სისტემა უპრეზიდენტოთ ულოღიკობაა, ჩვენ წინააღმდეგი ვართ პარლამენტარული სისტემის და ეს ჩვენ დავასაბუთეთ დემოკრატიული რესპუბლიკის მიღებით. ჩვენ თავიდან ავიცილებთ იმ რყევას და ცვლილებას მთავრობისა, რომელზედაც მე მოგახსენეთ და არც ქვეყანა დარჩება უპატრონოთ, როგორც ეს საყვარელიძეს გონია, რადგანაც მთავრობის და რესპუბლიკის თავმჯდომარე ვადით იქნება არჩეული. შემდეგ მომხსენებელი ეხება იმ საკითხს, თუ ვინ ქმნის პოლიტიკას, და ამტკიცებს, რომ პოლიტიკას ქმნის პარტია, პარლამენტი და მთავრობა ვალდებულია ეს პოლიტიკა განახორციელოს. მომხსენებელი წინააღმდეგია იმისა, რომ მთავრობის თავმჯდომარე ზედიზედ იქნას არჩეული. მთავრობა, ამბობს ის, უნდა იყოს მტკიცე თავისთავათ და არა იმიტომ, რომ პოპულიარული პირებია. ევროპაში ხშირათ ისეთ კაცს ჩააბარებენ პორტფელს, რომელსაც არავინ არ იცნობდა ცენტრში და რომელიც სადმე პროვინციაში მოღვაწეობდა. საჭიროა ჩვენშიაც მოისპოს დღევანდელი ადათი და ერთი პირი არ იყოს ზედიზედ არჩეული მთავრობის თავმჯდომარეთ.

ყველა დებულებები გადაეცა საგანგებოთ არჩეულ კომისიას, რომელმაც უნდა წარმოუდგინოს ყრილობას რეზოლიუცია ამ საკითხის შესახებ.

---

*) სტუდენტთა მცირე რიცხოვან ჯგუფს ეძლეოდა ეს დახმარება იმის გამო, რომ ისინი გერმანიაში მომხდარი ამბების გამო მოწყვეტილნი იყვნენ სამშობლოსაგან.

წერილები ფრონტიდან

1

ფრონტზე ბრძოლა, ყანაში ნადური.

„წითელ“ ადერბეიჯანთან ბრძოლამ ბევრი მუშა მოაცილა თავის კერას: ხვნას, თესვას, შინაურ მუშაობას.

სახალხო გვარდიასაც აქვს თავისი ყანა, ბოსტანი, სათივე. აგერ რვა თვეა, რაც მისი სასოფლო სამეურნეო განყოფილება გვარდიელების საშუალებით ხნავს, სთესავს ყარაიაზის მიდამოებში. მხარზე თოფი, ხელში გუთანი, აი გვარდიელების საქმე. უამისოთ აქ არ შეიძლებოდა. დღემდე ყარაიაზის ტყეები, ადერბეიჯანიდან გადმოსული ყაჩაღთა ბრბოების საუკეთესო ბინათ ითვლებოდა. და აი ჩვენც მოგვაშორა თავის საკუთარ ყანებს მათთან ომმა. გუთანი მიწაში მივატოვეთ, თოფი მოვიმარჯვეთ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ყანები მიტოვებული გვქონდა. გათავდა ომი. ჩვენც ყანებს მივაშურეთ. ეს კარგათ იგრძნეს ჯავშნიანი მატარებლის გვარდიელებმა. ერთ მშვენიერ დღეს, შეიცვალა თუ არა ფრილოს ხიდის დაცვის განსაკუთრებული პირობები, გადმოვიდნენ ჯავშნიანიდან და სიმინდის ყანის გათოხნაში დაგვეხმარენ. ჩვენ მადლობას ვუძღვნით მეთხე ნომრის ჯავშნოსანი მატარებლის გვარდიელებს გოგვაძის ხელმძღვანელობით მთელი დღის ყანაში დახმარებისათვის.

საუცხოვო სანახაობას წარმოადგენდა მათი ყანაში მუშაობა ჩვენს გვარდიელებთან ერთად, ნადურისა და ორახელას სიმღერით ფრონტზე ბრძოლა. ყანაში ნადური—ფრონტზე ბრძოლა. მტერი ვერას დაგვაკლებს!

მათე.

2.

სადგური ყაზბეგი.

სულიერი განწყობილება კარგია. ჯარი აღფრთოვანებით შეხვდა რუსეთ-საქართველოს ზავს. კულტურულ მუშაობას ჯარი მოკლებულია. ბიბლიოთეკა არ არსებობს. ფოსტა კვირაში ორჯერ მოდის, მოაქვს გაზეთები, მაგრამ წაკითხვა შეუძლებელია, ხან სველი მოაქვთ, ხან კიდევ სულ დახეული. წერილების მიღება ხდება ძალიან დაგვიანებით.

საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს წერილების განაწილების საქმეს, ვინაიდან აქ ხშირად ჯარის სხვა ნაწილების წერილებიც მოდის.

ჯარისკაცი **დომენტი თხილავა.**

3.

ახალციხე.

მე-3 ქვეითა ბრიგადის შემხვევ-საექიმო გადამზიდავი რაზმის ამხანაგები მხურვალე სალამს უძღვნიან საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ყრილობას, უსურვებენ მას ნაყოფიერ მუშაობას მთლიანობის ფარგლებში.

ამხანაგების დავალებით: **ლ. ლესელი.**

ნეკროლოგი.

ვასია მაქსიმოვის ხსოვნას.

სახალხო გვარდიას მოაკლდა ერთი თვალსაჩინო მებრძოლი თავისუფლებისათვის. 31 მაისს ხულოში ბანდებთან ბრძოლაში გმირულათ დაეცა ვასია მაქსიმოვი, ბორჯომის სახალხო გვარდიის აფიცერი. ამ ჟამად ის ითვლებოდა სახალხო გვარდიის ერთ-ერთ ათასეულის უფროსათ. მაქსიმოვი ეროვნებით რუსი იყო, მაგრამ იგი კარგათ გრძნობდა, რომ საქართველოში დემოკრატიული თავისუფლება იყო და მედგრათ იცავდა ამ თავისუფლებას. ნიკოლოზის მთავრობის დროს მაქსიმოვი გერმანიისა და ავსტრიის ფრონტებზე ომობდა. შემდეგ, როდესაც ბალშევიკებმა რუსეთი ცეცხლის ალს მისცეს და საქართველოს დემოკრატიამ გამოაცხადა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთ, სწორეთ ამ დროს ვასია გამოეშურა საქართველოსაკენ. რუსეთიდან ჩამოსვლის დღიდან სახალხო გვარდიელებთან ერთად, როგორც აფიცერს, მაქსიმოვს არ გაუშვია არც ერთი ფრონტი, რომ ენერგიული მონაწილეობა არ მიეღო ბრძოლაში დემოკრატიის მტრების წინააღმდეგ. მას ხელიდან არ გაუშვია თავისუფლების დროშა, სანამ არ დაეცა ბრძოლის ველზე. ის ცოტას ლაპარაკობდა, ბევრს აკეთებდა.

მშვიდობით, ძმაო ვასია! შენი ხსოვნა არ ამოიშლება საქართველოს შეგნებულ დემოკრატიის გულიდან!

კ. დინჯაძე.

ბათომი

11 ივნისს, სამოსამართლო უწყების გამგემ მოსამსახურეთ გამოუცხადა, რომ ჩვენ მივდივართ, და ვისაც სურთ, ყირიმში გადავიდნენ სამსახურშიო. შეპირდა უფასო ტრანსპორტს. ასევე განუცხადეს მილიციონერებსაც. აღსანიშნავია, რომ ყირიმში წასვლის მსურველთ ორ-ორი თვის ჯამაგირის მიცემას პირდებიან სალიკვიდაციო სახით, დანარჩენებს მხოლოდ ორ-ორი კვირისას. უკანასკნელ გარემოებას ფულის უქონლობით ხსნიან.

— უკანასკნელ დღეებში ინგლისის გირვანქების ფასმა საგრძნობლათ აიწია. თუ წინეთ მათი კურსი 1000—1100 მ. იყო, დღეს უკვე 1700 მანეთამდე აღწევს.

— პროფ. კავშირთა საბჭოს წევრთა დატყვევების შემდეგ, კავშირებში მუშაობა თითქმის შესწყდა. საბჭოსა და კავშირების აღდგენის ინიციატივა აიღო ქალაქის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთა კავშირმა, რომელმაც სათანადო მოწოდებით მიმართა ყველა კავშირს. ამასთანავე მოლაპარაკებას აწარმოებენ შრომის განყოფილების უფროს მაიორ ორტონთან. უკანასკნელმა განაცხადა, რომ საოკუპაციო მთავრობას არაფერი აქვს საწინააღმდეგო პროფესიონალური კავშირებისა, მხოლოდ ის (მთავრობა) ებრძვის კავშირებში მავნე პოლიტიკურ მიმართულებასო. როცა საქმე მიდგა კავშირთა საბჭოს აღდგენაზე, გამოირკვა, რომ სამხედრო გუბერნატორი ბ. კუკ-კოლისი წინააღმდეგია საბჭოს არსებობისა. ის ნებას აძლევს კავშირებს იარსებონ ცალ-ცალკე, ცენტრის შექმნას კი ეწინააღმდეგება. მაშინ 13 პროფესიონალურმა კავშირმა ოფიციალურის განცხადებით მიმართეს გუბერნატორს, — აუხსნეს, რომ ყველა ქვეყანაში, სადაც არსებობენ კავშირები, არსებობს აგრეთვე მათი გამაერთიანებელი ცენტრალური ორგანო, და ასეთი ცენტრის შექმნის უფლება მოითხოვეს ბათომშიაც.

12 ივნისს თფილისიდან გვეწვივნენ მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობები, კაჩალოვის გარდა. გამართეს 2 წარმოდგენა და ერთი სამხატვრო-სალიტერატურო საღამო. 12 ივნისს დადგეს ოსტროვსკის კომედია „На всякаго мудреца довольно простоты“; 13 ივნისს—სამხატვრო-სალიტერატურო საღამო და 14 ივნისს სამი სცენა „ძმ. კარამაზოვებიდან“

ნაქურდალი პურის გარშემო

(პასუხად ვანო ტატუნაშვილს)

„ერთობის“ მე-132 ნომერში თქვენი წერილია მოთავსებული მე-8 უბნის მილიციონერის შესახებ და განსაკუთრებით წერილი მეხება მე, როგორც კომისარს.

ბ-ნი ტატუნაშვილი სრულიად არ ყოფილა დაინტერესებული საქმის ვითარებით და ისეთს რამეებს სწერს, რაც სრულიად სიმართლეს არ შეეფერება და რისთვისაც მას პასუხისგება დასჭირდება.

„არსენალის ქუჩით, დაახლოვებით 12 საათზე ამოუტარებიათ ერთი „ტაჭკა“ დატვირთული პურით, რომელსაც მოყვებოდენ ერთი უმცროსი მილიციონერი და ორი პურის გამყიდველი. მათ ეს პური გაუყიდიათ, ნაწილიდან მილიციონერისთვის 3500 მან. წილი მიუციათო“. განვიხილოთ ეს ერთი ნაწილი თქვენი წერილისა. მილიციონერმა აიღო არა 3500 მანეთი, არამედ 4000 და ფულიან გამყიდველებიანა წარმოადგინა კიდევაც კომისარიატში. რატომ? აი საქმის ვითარება. ჩემდამი რწმუნებულ კომისარიატში მორიგე უფროს მილიციონერთან მოვიდა ვინმე არხიმანდრიტოვი და განაცხადა: „ქუჩაში ნაპარევ პურს ჰყიდიან მგონი და მიიღეთ ზომებიო“. პურის გამყიდველები მაშინვე შეუპყრია მორიგეს და მოუყვანია კომისარიატში. საქმის გამოკითხვის შემდეგ არ გამორკვეულა, რომ პური მოპარული იყო და გაუნთავისუფლებია. პურის გამყიდველებს გაჰყოლია უმცროსი მილიციონერი, რომელსაც ნაბძანები ჰქონია მორიგე მილიციონერისაგან, რომ თუ ისინი პურს გაჰყიდდენ კერძო პირზე, მაშინვე დაეჭირათ და ფულით და პურით მოეყვანა კომისარიატში, ეს ასეც მომხდარა, მილიციონერს პურის გაყიდვაში ხელიც შეუწყვია, რადგანაც ეს ნაბრძანები ქონდა, რომ ბოროტ-მოქმედება ნათლად გამოჩენილიყო და კამისარიატში მოუყვანია დატყვევებული ყველა 4000 მანეთით და დარჩენილი პურით.

თქვენ წერილში ხაზს უსვამთ „კომისარმა მილიციონერი არ დაინახა დამნაშავეთ და ოქმიც ისე შეადგინეს, რომ მილიციონერი გამოძვრა“-ო. თქვენ, რომ საქმე გაინტერესებდეთ, მოხვიდოდით კომ—ტში, იკითხავდით საქმის ვითარებას როგორ იყო, ან როგორ დავიჭირეთ არ აჰყვებოდით ვაჭრების სიტყვებს და რედაქციას შეცდომაში არ შეიყვანდით. მორიგემ დაგკითხათ თქვენ და თქვენი ამხანაგი ახალბედაშვილიც, მაგრამ რა თქვით თქვენ? ჩემთან მოვიდა ჩემი ნაცნობი ვაჭარი სარქისოვი და მითხრა: პური ვიყიდე, მივეცი ფული, მაგრამ მგონი ნაპარევია და მოდი და ინახულეო. მე მიველ სარქისოვთან, მაგრამ როცა პურის გამყიდველები ველარ ვნახე იქ, ტელეფონით შევეკითხე მე-8 კომისარიატს, თუ როგორ არის საქმე საიდანაც მორიგემ მიპასუხა: ყველანი დავატუსაღეთ და საქმის გამოძიებას შეუდექითო“-ო. აი თქვენი ჩვენება, ასეთივეა ჩვენება თქვენი ამხანაგის ახალბედაშვილის. სად არის თქვენს ჩვენებაში მილიციონერი. რატომ ერთ სიტყვას მაინც არ ამბობთ მილიციონერზე, რატომ მორიგეს მაინც არ შეეკითხეთ რათ იყო მილიციონერი ვაჭრებთან? რომ შეკითხოდით, ხომ გეტყოდათ მილიციონერი, თუ როგორ იყო ჩვენგან ეს საქმე მოწყობილი, თქვენ გაიგეთ ვაჭრისაგან, რომ იმათთან ერთად იყო მილიციონერი, ალბათ გაგეხარდათ, რომ ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინეთ, აღარ იკითხეთ კომისარიატში საქმის ვითარება. გადაიკითხეთ ჩვენება დამნაშავე პონოსოვის და თქვენ მთელი საქმე გეცოდინებათ, პონოსოვი ერთ ადგილას ამბობს: მორიგემ გაგვანთავისუფლა და თან მილიციონერი გაგვაყოლა, როცა დუქანში გავყიდეთ 4000 მან. პური მილიციონერმა გვითხრა: თქვენ ყველანი დატუსაღებულნი ხართო. აი; როგორ იყო მოწყობილი საქმე, რომ ბოროტ-მოქმედება უფრო ნათელი გამხდარიყო. წაიკითხეთ თქვენ ეს ჩვენება? არა! ყოველ შემთხვევაში, როდესაც ჩემს შესახებ პრესაში აქვეყნებთ იმ ცნობებს, რომელიც ჩირქსა სცხებს ჩემს პიროვნებას, საჭირო იყო უფრო კონკრეტიულათ გამოთქმა ბრალდებისა, თუ რაში გამოიხატა ჩემ მიერ საქმის მიფუჩეჩება მილიციონერის მიმართ. და თუ ეს თქვენ აქამდე არ გააკეთეთ, ალბათ, ეხლა შეეცდებით დამტკიცოთ: 1) მილიციონერის ბრალდებულობას ამ საქმეში, 2) ჩემს მიერ ამ ბრალდებების ცოდნის შესაძლებლობას, როდესაც ოქმი იგზავნებოდა კუთვნილებისამებრ და 3) ჩემს მიერ დამნაშავე მილიციონერის სუფთად გამოყვანას, იმ ოფიციალური მასალის მიხედვით, რომელიც იყო ჩემდამი წარმოდგენილი. ასეთი დაუსაბუთებელი წერილებით არ უნდა შეიყვანოთ შეცდომაში რედაქცია, ჯერ უნდა გაგეგოთ საქმის ვითარება და მერე გეწერათ.

მე-8 უბნის კომისარი **ს. გ. ბოლქვაძე.**

დამფუძნებელი კრება

18 ივნისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა შემდეგი საბოლოო ტექსტები: დეკრეტი მექარხნისაგან სააქციზო უწყების მოხელის დასაქირავებლად ხარჯის გაღებისა; საერობო გზების მოსამსახურეთათვის დამატებითი გასამრჯელოს მისაცემად 144,430 მან. გადადების შესახებ; მუშა-მოსამსახურეთათვის პირველ მოთხოვნილების საგნის მისაწოდებლათ მთავრობის განკარგულებაში 120 მილ. მან. გადადების შესახებ; ყარაიაზის სახელმწიფო მამულის მეორე განყოფილების სისტემის სარწყავის დასამთავრებლად 9,368,000 მან. გადადების შესახებ; სოხუმის ქალაქის სასამართლო უბნის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა და დეკრეტი 3 მილ. მან. გადადებისა მიხეილ არამიანცის ჩამორთმეულ სახლის ფასის ასანაზღაურებლად.

ი. ფირცხელაიშვილი იურიდიული კომისიის სახელით და **დ. ონიაშვილი** საბ. საფინ. კომისიის სახელით მოახსენებენ კანონ-პროექტს საპყრობილეთა დამცველი რაზმის შტატისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ. კანონ-პროექტი ზოგადად მიღებულ იქნა უკამათოთ და მუხლობრივათ განხილული იქნება სათანადო ვადის გასვლის შემდეგ.

ი. ფირცხალაიშვილის და გრ. გიორგაძის მოხსენებით მოხდა პირველი (ზოგადი) განხილვა კანონ-პროექტისა თფილისის სასამართლო პალატის შტატის დამატების შესახებ.

ი. ფირცხელაიშვილის მოხსენებით მოხდა პირველი (ზოგადი) განხილვა კანონ-პროექტისა საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

კოპალეიშვილის და ონიაშვილის მოხსენებით უკამათოთ იქნა მიღებული დეკრეტი მიწადმოქმედების საიჯარო განყოფილების საერთო შემოსავლიდან 20 პროცენტის ერობათა სასარგებლოთ გადადებისა.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით უკამათოდ იქნა მიღებული დეკრეტი მობილიზაციით გაწვეულ ჯარის კაცთა და გვარდიელთა ოჯახების დახმარებისა; მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი მიწის ძვრის გამო გორის გარნიზონის სხვადასხვა ადგილას დასაბინავებლად გაწეულ ხარჯის დასაფარავად 5,246,493 მან. გადადებისა.

მ. რუსიას მოხსენებით მოხდა პირველი (ზოგადი) განხილვა კანონ-პროექტისა ქ. ფოთის სასარგებლოთ ნავთსადგურით შემოტანილ და გატანილ საქონელზე საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ.

დეკრეტი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებულ რაზმის მოქმედების განგრძობისა.

დ. ონიაშვილი. 1918 წლიდან არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საგანგებო რაზმი. ეს რაზმი დროებით იყო დაარსებული და კანონ-მდებელმა ორგანომ გაითვალისწინა რა მისი საჭიროება, ოთხჯერ გაადიდა რაზმის მოქმედების ვადა. ამ წლის ივლისში თავდება მისი მოქმედების ვადა და წარმოდგენილ დეკრეტით მისი ვადა გაგრძელებულ უნდა იქნას მომავალ საბიუჯეტო წლამდე. დეკრეტი კომისიებში მიღებულ იქნა იმ სახით, როგორც ეს წარმოდგენილი იყო, მხოლოდ შტატში აღნიშნული რაზმის იურისკონსულტის თანამდებობა გაუქმებულ იქნა და სამაგიეროთ მიემატა უფროსის ერთი თანაშემწე. დეკრეტს დართული აქვს დასკვნა, როგორც ფინანსთა უწყების, აგრეთვე სახელმწიფო კანტროლის.

ლ. შენგელაია აღნიშნავს, რომ ორი წლის არსებობა ამ რაზმისა იმაში გამოიხატა, რომ არ დარჩენილა არც ერთი რევოლიუციის მონაპოვარი, რომ ამ რაზმის მიერ არ ყოფილიყოს შეგინებული და შეურაცყოფილი. ოთხჯერ იყო განგრძობილი რაზმის მოქმედების ვადა და დღეს მეხუთეთ უნდა მივცეთ დასტური ამ უკანონობას. რაზმის დაარსების დროს არაჩვეულებრივი პირობები იყო, მაშინ მდგომარეობა მერყევი იყო. დღეს კი საგარეო მდგომარეობა ჩვენი უკეთესია და იმის მაგივრათ, რომ დროებით დარჩეს იგი, რაზმს ერთი წლით აკანონებენ. იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს ჯარი და გვარდია, რაღა საჭიროა რაზმი, რომელიც სახელმწიფოს სახელმწიფოში წარმოადგენს და მისი სათარეშო ასპარეზი მთელი ჩვენი რესპუბლიკა არის. როგორც ხმები დადის, ამბობს ორატორი, რამიშვილს

მაინც და მაინც გვარდიაში არ უყურებენ კარგათ და ამიტომაც საკუთარი გვარდია შექმნა ამ რაზმის სახით. ასეთივე გვარდია ჰყავს იუსტიციის მინისტრს არსენიძესო (ხმები: სირცხვილია ასეთი ჭორიკანობა. ეს არ შეეფერება დეპუტატის ღირსებას). შემდეგ ამისა შენგელაია აღნიშნავს, რომ საგანგებო რაზმელები მუშათა კრებებსაც ესწრებიან, როგორც იყო სოხუმის ოლქში, თფილისის პროფესიონალურ კავშირებში და სხვა.

ბ. ჩხიკვიშვილი აღნიშნავს, რომ მას ხშირად მოუსმენია ესერების სიტყვები, ყოველთვის ცდილან ისინი თავიანთ სიტყვების თუნდა ყალბი საბუთებით დასაბუთებას, მაგრამ დღეს ესეც არ იყო, შენგელაიას სიტყვა ეს იყო უბრალო ოხუნჯობა და სხვა არაფერიო. განა სერიოზული სოციალისტი იტყვის, რომ სოც.-დემ. დამცველია რეაქციონერები და „სიშჩიკებისო". განა ორატორი, როელიც თავის თავს პატივსა სცემს ასეთ ჭორს შესთხზავს და იტყვის,—რამიშვილი გვარდიას ეჯავრება და მიტომ დაარსა თავისი გვარდიაო. არა მგონია ასეთი იაფი დემაგოგიით შეიძინოთ რამე. რა სთქვეს არსებითად. არაფერი: ჩვენ არ დავუჭეროთ მხარს წარმოდგენილ დეკრეტსო. თუ მართლაც გსურთ ემსახუროთ სახელმწიფოს და დაიცვათ მისი ინტერესები, ასეთ რაზმს მხარი უნდა დაუჭიროთ. არა ერთხელ ყოფილა საქართველო ისეთ მდგომარეობაში, რომ დროზე ზომები არ ყოფილიყო მიღებული, რომ წინასწარ არ გვცოდნოდა მტრის გეგმები, ჩვენ დავმარცხდებოდით. ერთი რამ უნდა ვსთქვათ: ან არ გინდათ ჩვენი სახელმწიფოს არსებობა და თუ გსურთ იგი, მაშინ არ იცით, როგორ ესაჭიროება სახელმწიფოს მოვლა-პატრონობა და თუ იცით ყოველივე ეს და აქ რასაც გაიძახით შეგნებული გაქვთ, მაშინ ერთად ერთი დასკვნა შეგვიძლიან გამოვიტანოთ: ისეთი, რომ თქვენ ტმრები ხართ ჩვენი ქვეყნის. ავიღოთ თქვენი იდეალური სახელმწიფო, რომელსაც არ ასახელებთ, მაგრამ თვალები მაინც იქით გიჭირავთ. იქ უმცირესობამ უმრავლესობას მოახვია თავზე თავისი ბატონობა და მერე რა საშუალებით იცავს თავის ძალა-უფლებას? თქვენ გაიძახით „სიშჩიკები" ჰყავს სახელმწიფოსო. რას ნიშნავს ეს? განა თქვენ პარტიას არ ყავდა საკუთარი „სიშჩიკები", რომელთა მოვალეობაც იყო ძველი მთავრობის მოხელეთა დაზვერვა, მათი მოქმედების გეგმის შეტყობა და სხვა. ეს თქვენი პარტიის დამამცირებელი კი არ იყო, ეს იყო მეთოდი ბრძოლისა და თუ პარტიას შეუძლიან იყოლიოს აგენტები, რატომ არ შეუძლიან აგენტების ყოლა სახელმწიფოს. აქ გაიძახიან, პარტიულ კრებებზე დაიარებიან აგენტებიო. იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომელთა პლატფორმაც ჩვენ ვიცით, არავინ შეეხება. მათ უფლება აქვთ, როგორც უნდათ და სადაც უნდათ, იქ მართონ კრებები, მაგრამ როდესაც იცი, რომ ზოგიერთი, თუნდაც მუშათა კავშირებში, იმ დროს, როდესაც ჩვენ მრავალი გარეშე მტერი გვახვევია, სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებებს ამზადებენ, მაშინ სახელმწიფო მოვალეა ალაგმოს მისი ძირის გამომთხრელნი. უკბილოა თქვენი ოხუნჯობა, როდესაც ამბობთ, რომ რამიშვილს ცუდი განწყობილება აქვს გვარდიასთან და მიტომ შექმნა საგანგებო რაზმიო. თქვენ კარგათ იცით ის განწყობილება, როგორიც სუფევს მთავრობაში, გვარდიაში და სხვაგან და რათ დაგჭირდათ ჭორების თხზვა. ერთი ახირებული აზრი წარმოსთქვა შენგელაიამ: რათ გინდათ საგანგებო რაზმი, როდესაც ჯარი და გვარდია გვყავსო. განა ჯარი და გვარდია უნდა აკეთებდეს იმას, რაც დაკისრებული აქვს საგანგებო რაზმს. თუ თქვენ წინააღმდეგი ხართ რაზმის, გვასწავლეთ რა საშუალებით იქნებიან შეპყრობილი და ალაგმული მოღალატეები. აქ გაიძახით პიროვნების თავისუფლებაზე, დემოკრატიულ პრინციპებზე. უნდა იცოდეთ, რომ სოც.-დემოკრატიამ თქვენზე კარგათ იცის და აფასებს და იბრძვის კიდეც პიროვნების თავისუფლებისათვის და დემოკრატიულ პრინციპებისათვის. სოც.-დემ. იცავს იმ რაზმს, რომელსაც დაკისრებული აქვს ჩვენი სახელმწიფოს დაცვა მავნე ელემენტებისაგან. (ტაში)

ნ. რამიშვილი. მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრნო! ის პარტია, რომელიც მოკლებულია ყოველივე ნიადაგს და თავის უსუსურობას ააშკარავებს იმით, რომ ათასჯერ თქმულ გაზეპირებულ სიტყვებს ლექციის სახით ყოველთვის კითხულობს, აქ დღეს ჭორიკანობის პარტიათ გამოდის. თქვენ განაცხადეთ, რომ განსაკუთრებული რაზმი მიტომ დასჭირდა რამიშვილს, რომ სახალხო გვარდიის წინააღმდეგი რაზმი შექნაო. გვარდია რამიშვილთან ცუდ დამოკიდებულებაში არის და ეს არის მიზეზი რაზმის არსებობისაო. ნუ თუ ესერების დაქვეითება იქამდე მივიდა, რომ აშკარა ჭორი გამოიტანეს აქ. მე მოვიყვან ერთ ფაქტს, რომ სწორედ სახალხო გვარდია ფრაქციასთან ერთად მოითხოვდა, რომ დავრჩენილიყავ იმ პოსტზე, სადაც გვარდიასთან მჭიდროთ დაკავშირებული ვიქნებოდი. დიახ, მე ვიმეორებ, რომ ამ უმაღლეს ტრიბუნიდან წარმოსთქვით ჭორი. თქვენ ილაშქრებთ საგანგებო რაზმის წინააღმდეგ და მსჯელობთ ისე, როგორც მსჯელობდენ ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში. იქ გაიძახოდენ, სომხეთში ყველა სომეხი სცხოვრობს, ყველა დაიცავს ჩვენს დამოუკიდებლობასო. და რათ გვინდა წინასწარ რამე ზომების მიღებაო. მაგრამ როდესაც მწარე გამოცდილებამ დაუმტკიცა მათ სულ სხვა, მმართველი პირების ერთ დეპეშაში ასეთი ფრაზა ეწერა: „**Мы ориентируемся на Рамишвили**". იქ მიხვდნენ, რომ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაცვა თქვენის მეთოდებით არ შეიძლება. თუ თქვენ მარტო ჭორიკანობა არ გაინტერესებთ, უნდა იცოდეთ, რომ დღეს გაცილებით მეტი ანტისახელმწიფოებრივი ელემენტები არიან ჩვენში და თუ თქვენ დღეს საშუალება გეძლევათ აქ თავისუფლად ბრძანდებოდეთ და ასეთ სიტყვებს გაიძახოდეთ, ეს მიეწერება იმ ზომებს, რომლებიც მიიღო და მიიღებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. შეიძლება თქვენ ფიქრობდეთ, რომ მას შემდეგ, რაც ჩამოვარდა ზავი ჩვენ და რუსეთს შორის, აღარ იყოს საჭირო რაზმი.

თუ თქვენ გაქვთ პოლიტიკური უნარი, უნდა გრძნობდეთ, რომ დღეს უფრო საჭირო არის. იქნება გგონიათ მაგნაირი ფრაზებით ვისიმე გული მოიგოთ, არა მგონია. მათ უკვე ახალი პატრონი გაუჩნდათ. მე ვამბობ, რომ საჭიროა ასეთი რაზმი და თქვენ ამას დაინახავთ თუნდა მიხა ცხაკაიას წერილიდან, საიდანაც გამოსჩანს, რომ ბალშევიკებმა შეიძლება კიდევ მოკიდონ იარაღს ხელი. მიხა ცხაკაიას გულწრფელობაში კი მე ეჭვი არ მეპარება. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ ესერების მოღვაწეობა აფხაზეთში გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი ადგილობრივ დამოუკიდებლებთან ერთად ცდილობდნენ მთავრობის შედგენას. რასაკვირველია, რაზმი ყველა მოღალატეების წინააღმდეგ მიიღებს ზომებს. აქ ლაპარაკობენ, პროვოკატორები იმყოფებიან რაზმშიო. საბუთი. მე არ ვიტყვი, რომ იქ არ ერიოს რომელიმე ულირსი, ეს ადვილი შესაძლებელია, საერთოდ კი რაზმის მოქმედება სათანადო სიმაღლეზე სდგას და ყველანი პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. მას შემდეგ, რაც რუსეთთან დავდეთ ზავი, ჩვენ ვასრულებთ მტკიცეთ არსებულ ხელშეკრულებას, მაგრამ არიან ჩვენში ისეთი ელემენტები, რომლებიც უცხო ძალას დიდის გულის ფანცქალით მოელიან. ამას თქვენ დაინახავდით მთავრობის ოფიციალურ განცხადებიდან. მრავალ ადგილას ცდილობენ ძველი ნაცადი გზით, იარაღის საშუალებით, ჩვენს დაცემას და ნუ თუ ასეთ დროს მოდიხართ და გვეუბნებით, დაყარეთ ფარხმალიო. მე არა მგონია მოიძებნებოდეს შეგნებული ქართველი, რომელიც მთავრობას ასეთ დროს ურჩიოს იარაღის დაყრა. ჩვენ მივდივართ ძველი ნაცადი გზით და შევქმენით ისეთი პირობები, როცა მტრის იარაღი ჩვენსკენ მომართული პოვებს ყოველთვის საწინააღმდეგო იარაღს (ტაში).

ლ. შენგელაია აღნიშნავს, რომ უნდა დაამტკიცოთ ჩვენი მდგომარეობა ისეთია, რომ საგანგებო რაზმი აუცილებელიაო. ნუთუ ორი წლის მუშაობით ვერ შექმენით ისეთი მდგომარეობა, რომ რაზმები არ დაგვჭირდეს. იძახიან რაზმი კონტრ-რევოლიუციისა, წინააღმდეგ გვინდაო, მერე სად არის აქ კონტრრევოლიუცია. შემდეგ ორატორი ეხება აგრარულ რეფორმას, რომელმაც საქართველოს მშრომელთ დიდი ზიანი მოუტანა, გლეხებს ფულათ მიყიდეს მიწები და სხვა. რაც შეეხება რუსეთისაკენ ჩვენ ლტოლვას, ეს არ არის სიმართლე, ჩვენ სოც.-დემ. ადრე გამოვეთიშეთ მათ. შემდეგ ორატორი ეხება 1917 წელში დაწერილ ნ. ჟორდანიას წერილებს. სოც.-დემ. ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებას და სხვა. როდესაც ადგილიდან შენიშნეს, რომ რატომ რაზმზე არ ლაპარაკობთ, მოიყვანა გაზ. „ერთობაში" მოთავსებული მუშის წერილი, სადაც აწერილი იყო ერთი რაზმელის მიერ უკანონო მოქმედება მუშების მიმართ, რომელმაც უკანონოდ შეიპყრო მუშებიო. (ორატორს ადგილიდან რეპლიკებით შენიშნავენ, რომ ეგ „ერთობაში" სწერია, მაშასადამე ჩვენ თვითონვე ვსჯით და პასუხის გებაში ვაძლევთ ცუდ მოხელეებსო).

დ. ონიაშვილი ეხება რა შენგელაიას სიტყვას, აღნიშნავს, რომ ესერებს არავითარი ფაქტები არ მოუყვანიათ და ისე, ზეპირად, რაც მოადგებოდათ—ლაპარაკობდენ. ესერების პარტია რუსეთის ცხოვრებამ გარიყა და აქ ჩვენშიაც გარიყული არიან ისინი. აქ სთქვეს: რა საჭიროა მილიცია, რაზმიო. სახელმწიფო სიტყვით სწამთ და მათი საქმე კი მიმართულია მის განადგურებისაკენ. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ ტყუილია ესერების მტკიცება, თითქოს კანტროლი წინააღმდეგ ყოფილიყო წარმოდგენილ შტატების. კანტროლის დადებითი დასკვნა არის, რომელსაც მომხსენებელი კითხულობს. კანტროლი მხოლოდ იურისკონსულტის წინააღმდეგი იყო, ისევე, როგორც საბ. საფინანსო კომისიის.

კამათი დასრულდა. დეკრეტი მუხლობრივათ უკამათოდ იქნა მიღებული.

დასასრულს **ივ. გომართელის** მოხსენებით უკამათოდ იქნა მიღებული საგარეო საქმეთა მინისტრის განკარგულებაში კონსტანტინოპოლის და მოსკოვის მისიების ვალების გასასტუმრებლად 388,920 მან. გადადებისა.

ნაციონალიზაცია თუ შოვინიზმი?

„სახალხო საქმის" № 853-ში ვინმე „დამსწრე" ათავსებს წერილს იმის შესახებ, რომ შრომის კომისრის კანცელარიაში საქმის წარმოება სრულდება რუსულ ენაზე და ამის გამო ქართულ ენაზე შემოსული თხოვნები უყურადღებოთ რჩებაო.

საქმე იმაშია, რომ, როგორც შრომის სამინისტროში, ისე თფილისის შრომის კომისარიატში, რომელთაც მუშებთან აქვთ საქმე უმეტეს ნაწილად და მათ ორგანიზაციებთან, საქმის მიწერ-მოწერა სწარმოებს როგორც ქართულად, ისე რუსულ ენაზედაც. ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა სომეხი მუშები თხოვნებს სწერენ სომხურ ენაზე და მათ პასუხსაც სომხურ ენაზე ვაძლევთ. სხვანაირათ პასუხი არც კი შეიძლება ისეთი დაწესებულებისათვის, როგორც არის შრომის სამინისტრო და მისი ორგანოები.

როგორც სჩანს ასეთი მიზანშეწონილება არ მოსწონს ბ. „დამსწრეს", რომელიც სტყუის სიმართლის წინაშე, როცა ის ამბობს: „წარმოიდგინეთ ქართულ ენაზე დაწერილ თხოვნებს, ამ ენის უცოდინრობის გამო ორკვირაობით უგდიათ" და სხ. როგორც სჩანს „დამსწრე" არ იცნობს შრომის კომისარს და არც ყოფილა მის კანცელარიაში, თორემ მას ეცოდინებოდა, რომ, როგორც შრომის კომისარს, ისე მის თანამშრომლებს ნაკლებათ არ ესმით ქართული ენა და თუ ეს ბ. „დამსწრეს" არ სჯერა, კეთილი ინებოს და მობრძანდეს შრომის კომისართან, რომ თვითონ დარწმუნდეს სიმართლეში.

შესაძლებელია მართლაც, რომ ბ. „დამსწრეს" ჩემს კანცელარიაში პასუხი ვერ გასცეს მის საქმის შესახებ თავის დროზე, მაგრამ მიზეზი ამისა ქართული ენის უცოდინრობა კი არ არის, არამედ ის რომ, საქმის მწარმოებელი მოდაბრეღლიძე სამხედრო სამსახურში წაიყვანეს და ახალი კი—სვანიძე მისი მოადგილე საქმეებს ასე მალე ვერ გაეცნო. ამ შემთხვევაში კი ბ. „დამსწრეს" რაღა რედაქციაში მიარბენინებდა ყალბი წერილის მოსათავსებლად, მოსულიყო ის დალოცვილი ჩემთან, რომ გაეგო საქმის ვითარება.

შეიძლება ბ. „დამსწრეს" არ მოსწონს ის, რომ ჩემი გვარი არ თავდება „ძე" ანდა „შვილზე" და მას ისე ესმის რომ ნაციონალიზაციის შემდეგ სახელმწიფო დაწესებულებებში მარტო ქართველებმა უნდა იმსახურონ? მაგრამ ამაში ის ძლიერ სცდება, ვინაიიდგან, სანამ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სათავეში სოც.-დემოკრატიული პარტია უდგას ბ. „დამსწეს" და მის თანამოაზრეებს უნდა კარგათ სწამდეთ, რომ მანამ შოვინიზმს გასავალი არ ექნება. ვათავებ რა ამით ჩემ წერილს, მე დაჟინებით მოვითხოვ ბ. „დამსწრისაგან", რომ მან დაუყონებლივ მაცნობოს, თუ რომელი საქმე ეგდო ორკვირას ქართული ენის უცოდინრობის გამო.

თფილისის შრომის კომისარი
ლ. ელბაქიანი.

ს. დ.-პარტიაში

ბათომი. „საქ. სოც.-დემ. პარტიის ბათომის კომიტეტმა თავის 12 ივნისის სხდომაზე სხვა საკითხთა შორის იქონია მსჯელობა 10 ივნისს მომხდარ სამწუხარო ინციდენტზე, რაც გამოიხატა ამხ. წულაძის მიერ ამხ. ვანო ქოქიკაშვილისათვის ფიზიკური შეურაცყოფის მიყენებაში და დაადგინა: „კომიტეტი აღნიშნავს, რომ ამხ. ქოქიკაშვილს შეუფერებელი იჭვი შეუტანია ამხ. ა. წულაძის გულწრფელობაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კომიტეტს ყოვლად შეუწყნარებლად მიაჩნია ის არა კულტურული საშვალება, რომელსაც მიმართა ამხ. ა. წულაძემ. კომიტეტი ამხანაგურ თანაგრძნობას უცხადებს ვ. ქოქიკაშვილს და ავალებს ა. წულაძეს ბოდიში მოიხადოს ვ. ქოქიკაშვილის წინაშე".

ბათომის კომიტეტი.

მეჯვრისხევი (გორის მაზრა). პარტიული მუშაობა მეჯვრისხევსა და მისი თემის ფარგლებში გაჩაღებულია. ორგანიზაციისა და ამხანაგების მეცადინეობით სამაგალითოდ ჩატარდა მობილიზაცია. მოწყობილია იაჩეიკები: ბურშუეთში, ზერტში, პატარა მეჯვრისხევში, სადაც ამხანაგები შეძლებისადაგვარად აკეთებენ მოხსენებას. განზრახულია მოეწყოს იაჩეიკები ახალუბანში, ხურვალეთში და აძვში. კრებები პრეზიდიუმისა, კოლექტივისა და მოწინავე ამხანაგებისა ხდება სისტემატიურად.

მდივანი **ვ. მთიულიშვილი.**

ნინოწმინდა (გარე კახეთი). 30 მაისს აქ შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი, სადაც ვრცელი მოხსენება გააკეთა მომენტზე, თფილისის სამაზრო სოც. დემ. კ-ტის წევრმა ლადო კაკაბაძემ. მიტინგის დაშლის შემდეგ გაიხსნა ადგილობრივი სოც. დემ. ორგანიზაციის კრება. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ამოირჩიეს კომიტეტი, რომელიც გაუწევს ხელმძღვანელობას ორგანიზაციას. კომიტეტში არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: ლ. ნადირაძე, რუს. შოშიაშვილი, ოსიკო ოკინაშვილი, მ. გძელაშვილი. მათ კანდიდატებათ ვ. შიოშვილი, დ. ფეიქრიშვილი, ვ. როკიშვილი. სარაიონო კოლექტივში წარმომადგენლად ნინოწმინდის ორგანიზაციიდან ამოირჩიეს: ლევან ნადირაძე, ოსიკო ოკინაშვილი, კანდიდატათ სანდრო კონიაშვილი.

დამსწრე.

მუშათა შორის

სატარიფო პალატის განმარტება ერთდროული დახმარების შესახებ.

18 ივნისს სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა შეიმუშავა შემდეგი სახელმძღვანელო ინსტრუქცია მუშა-მოსამსახურეთათვის ერთდროულ დახმარების (ერთი თვის ჯამაგირის რაოდენობა) შესახებ სატარიფო პალატის დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ.

1) იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც მობილიზაციის ძალით სამხედრო სამსახურში არიან გაწვეულნი, დახმარებათ მიეცემათ თვიურ ჯამაგირის სრული რაოდენობა, მაგრამ არა უმეტეს 3000 მანეთისა.

2) დროებითი მუშებს, და მოსამსახურეებს, თუ კი ისინი აღნიშნულ დადგენილების მიღებამდე სამუშაოზე ითვლებოდენ, ეძლევათ დახმარება: თუ ჯამაგირებს დღიურათ იღებენ—არა ნაკლებ ორ კვირის ჯამაგირისა, ხოლო თუ თვიურათ—ერთი თვის ჯამაგირი.

3) სახალხო გვარდიელები, რომლეამ ჟამათ ფრონტზე იმყოფებიან და ირიცხებიან შტაბის განკარგულებაში, დახმარებას იღებენ იმ დაწესებულებებიდან, სადაც ისინი სამსახურში ითვლებიან.

4) სახლში მომუშავეებს, რომლებსაც აქვთ რომელიმე დაწესებულებებიდან მუდმივი სამუშაო, უფლება აქვთ მიიღონ დახმარება ამავე დაწესებულებიდან.

5) დახმარებას იღებენ ისინიც, ვინც „ოტპუსკით" სარგებლობდა ავათმყოფობის გამო.

6) **ნარდათ** მომუშავენი დახმარებას იღებენ საერთო წესით წინა სამი თვის საშუალო თვიურ ხელფასის მიხედვით.

დახმარების მიღების უფლება არა აქვთ მუშა-მოსამსახურეთა შემდეგ კატეგორიებს:

1) ვინც სამსახურში 1-ლი ივნისის შემდეგ შევიდენ,

2) ის მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც არსებულ ტარიფის გვერდის ახვევით იღებენ იმაზე მეტს, რაც რომელიმე შრომის დარგში სამუშაო ხელფასის ნორმათ ითვლება;

3) პროცენტებით მომუშავენი;

4) მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც ჯამაგირებს ნაწილობრივათ პროცენტებათ იღებენ (პარიკმახერები, ოფიციანტები, მექისეები და სხ.), დახმარებათ ეძლევათ იმ ჯამაგირის რაოდენობა, რომელიც აღნიშნულია სატარიფო პალატის მიერ.

პროვინცია

ხაბუმის თემი (ზუგდიდის მაზრა). 26 მაისის დღესასწაულის მოსაწყობად შესდგა 7 კაცისაგან შემდგარი კომისია. ეს დღე ადრევე გამოცხადდა საყოველთაო უქმად თემში.

26 მაისს დილა მშვენიერი იყო. ბაზრის უმთავრესი გზა მორთული იყო ბზითა და ცოცხალ ვარდ-ყვავილებით, რასაც ამშვენებდა საქართველოს ღერბი, წითელი და ეროვნული დროშები.

საათის 10-ზე ამავე თემის ხუთივე დაბალ დაწყებითი სკოლის მასწავლებლების თაოსნობით, ჯგუფ-ჯგუფებათ მოყვანილ იქნა ამავე სკოლის მოწაფეები, უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლის შენობასთან, სადაც ხსენებულ სასწავლებლის მასწავლებლების მეთაურობით შემდგარიყო 10 კაცისაგან მსროლელი ჯგუფი და მომღერალი გუნდი. საათის 12-ზე საკმაო ხალხმა მოიყარა თავი. მოწაფეობა დაიძრა ადგილიდან; მას მოქალაქენიც შეუერთდენ. პროცესია გაემართა დანიშნულ ადგილისაკენ. 1 საათზე მიტინგი გახსნა ამხ. გახარიამ. თავმჯდომარემ აუხსნა ხალხს 26 მაისის მნიშვნელობა. ილაპარაკეს სხვებმაც. შემდეგ მიტინგმა გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „26 მაისის დამოუკიდებლობის დღესასწაულზე შეკრებილი ხაბუმის თემის მოქალაქეთა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი მიესალმება საქართველოს უზენაეს ორგანოს დამფუძნებელ კრებას და მის დემოკრატიულ მთავრობას და საქვეყნოთ ფიცსა სდებს, რომ ის მათთან არის ყოველთვის დამოუკიდებლობის მტრებთან წინააღმდეგ ბრძოლაში".

მიტინგის შემდეგ გაიმართა ეროვნული გასართობები. ხალხი კმაყოფილი დაიშალა.

ერისტო კაჭარავა.

ს. რგანი (შორაპნის მაზრა). ეს სოფელი, კულტურულათ შედარებით სხვა სოფლებთან, არ არის ჩამორჩენილი, მაგრამ როგორც ქალაქთან (ჭიათურასთან) დაახლოვებული, როგორც სამრეწველო სოფელი, დაწინაურებულიც უნდა იყოს ამ მხრივ. და თუ ეს ასე არ არის, იმიტომ, რომ აქაური ინტელიგენცია მას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს. თვით სამკითხველოს, რომელიც სამი წელია არსებობს, ჯერ-ჯერობით არავითარი წინსვლა არ ეტყობა. არ გეგონოთ, რომ ეს სამკითხველო თითქოს იმიტომ იყოს ასე არასასურველ ნიადაგზე დაყენებული, რომ მას შემოსავალი მცირე ჰქონდეს, არა. შემოსავალი მნიშვნელოვანი იყო, ორჯერ-სამჯერ საღამო იქნა მოწყობილი მის სასარგებლოთ, ფულიც აკრიფეს, კიდეც შეეძლო გამგეობას შემოსავალი გაედიდებია, მაგრამ ამას სრულიადაც არ ცდილობენ და შორიდან უყურებენ არხეინათ სამკითხველოს ასეთ კრიტიკულ მდგომარეობას.

რგანელი.

ქ. ლანჩხუთი. შაბათს, 29 მაისს, ქ. ლანჩხუთში ადგილობრივ საქალებო პირველ დაწყებითმა სასწავლებელმა გამართა უფასო ლიტერატურული საღამო. აღსანიშნავი და მადლობის ღირსია ხსენებულ საღამოს ხელმძღვანელი სკოლის გამგე ქ-ნი ნინო ჯუღელი, რომელმაც გადალახა ყოველივე დაბრკოლება და შესძლო მომზადებია 9—12 წლის პაწია ქალები ისე საუცხოვოთ, რომ მთელი მაყურებელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. საბავშო პიესები, დეკლამაციები, გალობა-სიმღერები ზედმიწევნით მწყობრათ და ლამაზათ იქმნა შესრულებული. ამავე დროს არც მოკარნახის ჩვეულებრივათ მომაბეზრებელი კარნახი ისმოდა. სიმღერების დროს არც ლოტბარის ზურგი ეჩხირებოდა მაყურებელთ თვალებში. შთაბეჭდილება ისეთი რჩებოდა, თითქოს ბავშვები თავის-თავად ურეკისოროთ და სხ. თამაშობდენ. მით მეტი სილამაზე, მეტი მიმზიდველობა ეძლეოდა საღამოს.

დამსწრე საზოგადოებამ ოვაციებით და თაიგულებით დააჯილდოვა ქ. ჯუღელი, რაც სავსებით დაიმსახურა მან.

გ. ე—ძე.

ძეგვი (გორის მაზრა). 25 აპრილს მოწვეული იყო საზოგადო კრება. დღიურ წეს-რიგში იყო 1) მთავრობის მუშაობის დაფასება. 2) მუშათა ორგანიზაცია. 3) კოპერატივი, 4) სკოლა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა შაქრო მრევლი, მდივნათ არტემ მირეშაშვილი. მოხსენება გააკეთა ისაკ მიქელაძემ. იგი ვრცლათ შეეხო იმ პირობებს, რომლებშიაც მოუხდა საქართველოს მთავრობას მუშაობა, შემდეგ დადებითად დააფასა მისი მოღვაწეობა და გაამართლა მთავრობის მოქმედების საერთო ხაზი; მისი მოხსენება ტაშით იქნა დაჯილდოვებული. კრებამ მისი შეხედულება გაიზიარა და მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სრულ ნდობას უცხადებს მთავრობას და აღუთქვამს მას მხარის დაჭერას.

სხვა საკითხების შესახებ კრებამ აგრეთვე იმსჯელა და გამოიტანა შესაფერისი რეზოლიუციები.

X.

გომბორი. 10 ივნისს, დილის 8 საათზე სოფ. სასადილოს (გომბორის საზოგადოება) დაეცნენ ორმოცი შეიარაღებული ყაჩაღები. გაძარცვეს გულისაშვილის ნახშირის საწყობი, წაიღეს 15000 მან. ფულათ, რამოდენიმე ათასი მანეთის ნივთები, მოკლეს დარაჯი თათარი. იმავე დღეს საღამოს 9 საათზე გომბორს შემოარტყეს ალყა, რამოდენიმე ყაჩაღი შიგ სოფელში შემოვიდა და თავისუფლათ და უშიშრათ დაიწყეს ძარცვა; დაეცნენ აქვე მოვაჭრე არუთინოვის დუქანს: წაიღეს რვა ათასი მანეთი ფულათ, ვერცხლისა და ოქროს ნივთები, ხოლო როდესაც ტომრები მოამზადეს სხვა ფართლეულობის ჩასაწყობათ, ამ დროს შეიქნა სროლა, მოუსწრო სოფ. სასადილოში მათ სადევრათ წასულმა მცირე რიცხვიანმა მილიციონერებმა, კომისარის მეთაურობით. ხანგრძლივი სროლის შემდეგ ყაჩაღებმა თავი დაანებეს ძარცვას და მიიმალნენ. იმ ღამეს ალარაფერი მომხდარა, ხოლო მეორე დღეს სოფ. პალდოდან ცხვარი წაიყვანეს დასაკლავათ და მგზავრ მეურმეებს პური წაართვეს. საჭიროა, მათ სალიკვიდაციოთ სასწრაფო ზომები იქნას მიღებული, თორემ მიმოსვლა გომბორსა და თფილისს შუა საშიშო იქნება.

X.

წერ. რედაქციის მიმართ

ჩუღურეთის ნოე ჟორდანიას სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგეობა ულრმეს მადლობას უძღვნის მაკაკან თარხანოვს, რომელმაც შემოსწირა აღნიშნულ ბიბლიოთეკას გარდაცვალებულ ძმების ანტონ გრიშას ხსოვნის აღსანიშნავათ შემდეგი წიგნები: „10 ცალი „გიმნაზია ნა დომ", 57 ცალი რუსული და სომხური წიგნები.

გამგეობა.

ექიმების საყურადღებოთ

არსებული კანონის ძალით ექიმები ვალდებული არიან ყოველივე მათ მიერ აღმოჩენილ მკვეთრი გადამდებ ავათყოფობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ ქალაქის თვითმართველობის მედიკო-სანიტარულ ბიუროს. მოვაგონებ რა ამას თფილისში მომუშავე ექიმებს, ვთხოვ მათ ეს ვალდებულება პირნათლად შეასრულონ განსაკუთრებით ეხლა, როდესაც დღითი დღე ხოლერას მოველით.

სარეგისტრაციო ფურცლების მიღება შეიძლება ყოველ დღე 8—2 საათამდე ქალაქის მედიკო-სანიტარულ ბიუროში.

ქალ. მედიკო-სანიტ. ინსპექტორი **მეუნარგია.**

ცნობები

მე-12 ქვეითა ათასეულის, 3 გუნდის ჯარის კაცი ალექსანდრე პავლეს ძე კუპრეიშვილის ვინაობის გაგების ცდამ, ხუთი თვე შესრულდა უნაყოფოდ ჩაიარა. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, ვთხოვ გვაცნობოს გაზეთის საშვალებით ან წერილობით შემდეგი მისამართით:—ნავთლუღი, ბარბარეს მოედანი № 6 ვ.ვ. მატკავას.

განცხადებანი

იყიდება
საკერავი მანქანა-შკაფი
ზინგერის სისტემისა.
პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ქლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
(1790—თ.)

ექიმი
გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს სად. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38.
(1741—თ.)

ექიმი ზ. უ. აღაპოვი
სპეციალურად ქირურგიულ ავადმყოფობას, მიღება დილით; 2—3 საათ. საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2.
1951—თ.

ექიმი ივ. გოკერია
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838 —თ.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8—9 ს. დილის და საღამოს 4—6 ს—დის მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60. (1808—თ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი მ. ა. შაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ქალურ, საბებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

ექიმი
ნიკოლოზ მახვილაძე
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მაღლობლად. (1255 48—6)

ექიმი
პ. გ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

ექიმი მ. გოლდშტეინი
თვალით ავათმყოფი (სათვალეების გამორჩევა) დილის 9—12 ს. 4—7 საათ. საღ. ნიკოლოზის ქ. № 32. (1587 თ.)

ექიმი
სოლომონ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742 —თ.)

ექიმი
ე. გ. მძინარიშვილი
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. № 22 ტელ. 10—87. (1638 თ.)

ექიმი
ნ. მ. გაჩეჩილაძე
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4.
(უ. 25—3)

ნამდვილი საჭმელი ზეთი
ცოტაღა დარჩა და იყიდება ბაზრის ფასებთან შედარებით იაფათ, იკითხეთ გემთა საზოგადოება „კავკაზი და მერკური" და „აღმოსავლეთის"
ერევნის მოედანი № 3 დილის 9—ს. 3—ს.
(1996—2—1)

საკუთარი სტამბა, გრიბოედოვის ქუჩა № 4.